პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-2 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება. შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 125 კვირა 3 ივნისი, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 50,000 მან.
№ 15

107
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ამხ. ლენინის წერილი.

ინგლისის მთავრობამ საპასუხო ნოტა გადასცა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს.

პარიზის წრეები უკმაყოფილონი არიან ინგლისის მთავრობით და აღნიშნავენ, რომ ინგლისი გერმანიის [illegible] ცდილობს უთანხმოების შეტანას მოკავშირეთა შორის.

საფრანგეთის საერთო აზრით, რურში საგაფიცვო მოძრაობა იყო უმთავრესად ეკონომიური ხასიათის.

გერმანიის პოლიციამ რურის ოლქში დააპატიმრა მრავალი კომუნისტები

უდიდესი ფაქტორი მშვიდობიანობის

ერთი გავლენიანი ინგლისური გაზეთი სწერდა ამ დღეებში, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა ეყრდნობა ინგლისის ხალხის დიდ უმრავლესობას, რომელიც წინააღმდეგია ომისა. ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი გადამეტებული არ არის და ის შეეფერება ამ ქვეყნის სინამდვილეს. იმ პოლიტიკაში, რომლითაც საკავშირო მთავრობამ შეჰქმნა ერთსულოვანება არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ დაიპყრო საზოგადოებრივი აზრი დიდი ბრიტანეთისაც, მდგომარეობს საიდუმლოება მშრომელთა სახელმწიფოს ძლიერების. ამ პოლიტიკით—და არა ჩვენი ტეხნიკურ—სამხედრო უპირატესობით ყველა ჩვენი მტრების წინაშე—გავიმარჯვეთ ჩვენ წარსულში იმპერიალისტების შემოტევის დროს და ისევეა თავდები ჩვენი მომავალი გამარჯვებისაც.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა გაგრძელებაა შინაურის. როგორია ის საბჭოთა ქვეყნებში, რომლებსაც მუშათა კლასი განაგებს? როგორც სოციალური მდგომარეობით, ისევე თავისი სამეურნეო აღმშენებლობის ინტერესებითა და თვალსაზრისით, პროლეტარიატი დაინტერესებულია მშვიდობიანი მუშაობით შიგნით და ეს გარემოება ასვამს გარკვეულ ბეჭედს მის საგარეო პოლიტიკასაც. ასეთი არ არის მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელთა მქონებელი კლასების ბატონობა აშენებულია სხვის ექსპლოატაციაზე, რაც უკვე თავისთავად გულისხმობს გაფართოებას (ექსპანსიას) სხვა ქვეყნების ხარჯზე. ასეთ მდგომარეობაშია უკვე ჩასახული სხვისი დაპყრობისა და დამონების სურვილი, აქ არის სათავე იმპერიალისტური პოლიტიკის, ომებისა და მოუსვენრობის.

ევროპასა და მის მუშათა კლასს კიდევ მიეცა შემთხვევა ამ უკანასკნელ ორ კვირაში, ინგლის რუსეთის კონფლიქტის დროს, დარწმუნებულიყო, თუ საით ეწევა მას ბურჟუაზიული მთავრობები—ერთი მხრით და როგორი დათმობაზე მიდის მშრომელთა მთავრობა—მეორეს მხრით, რათა თავზე აიცილოს ომი და არ გახვიოს სხვა ქვეყნებიც ამ ომის ალში. მიუხედავათ შავი და ყვითელი მტრების აგიტაციისა, საბჭოთა მთავრობამ შესძლო თავისი უკანასკნელი გამოსვლებით და დიპლომატიური მოლაპარაკებით ნათელი გახადა ინგლისის (და ყველა ქვეყნების) მშრომელთა მასებისათვის, რომ ის წინააღმდეგია ომის, რომ ის მზათაა არა სიტყვით, არამედ საქმით დიდი მსხვერპლი გაიღოს, ან შენელოვან დათმობებზე წავიდეს, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლათ. ცხადია, რომ ასეთი შეგნების გავრცელება იმ ქვეყანაში, სადაც (როგორც ინგლისია) ძლიერ კავშირებში გაერთიანებულ მუშათა კლასს შეუძლია თავისი ხმით დიდი სიმძიმე შესდოს ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი აზრის სასწორზე, წარმოადგენს დიდ გამარჯვებას, რომელიც უდრის თითქმის ზოგიერთი ომის მოგებას. ასეთ შემთხვევაში ძნელია, თითქმის შეუძლებელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოსთვის ომის წარმოება საბჭოთა ქვეყნებთან. ომი გარეთ წინასწარ გულისხმობს სიმტკიცეს შინაური ფრონტისას, რომელიც ამ შემთხვევაში ძალზე შერყეულია სწორეთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკით.

მაგრამ, რასაკვირველია, ყოველ დათმობას საზღვარი აქვს. როდესაც დათმობა ესმის მოწინააღმდეგე ბანაკს, როგორც სისუსტე, როდესაც ამ დათმობებით წაქეზებულმა გრძელი ყურები სცქვიტა ურკარტის კომპანიამ და საერთოთ „სიტყვა ჩამოაგდეს“ ოქტომბრის რევოლიუციის გამო „დაზარალებულმა“ ზარალის ანაზღაურებაზე—ასეთ შემთხვევაში, ცხადია, უკვე მოცემულია საზღვარი, რომლის გადაბიჯება მშრომელთა სახელმწიფოს არ შეუძლია, სანამ ის არსებობს.

ცხადია, რომ ამ გზით თავზე მოხვეული ომი იქნება ომი თავდაცვის, მშრომელთა მონაპოვარის შენარჩუნების. და ასეთ შემთხვევაში ჩვენსკენ იქნება მთელი აქტიური ერთსულოვანება ევროპის და კერძოთ ინგლისის პროლეტარიატის.

დღეს დღეობით ომის საფრთხე, უნდა ვიფიქროთ, თავიდან აცილებულია. მაგრამ ჩვენ ერთ წამსაც ვერ დავივიწყებთ, რომ არსებობენ კერზონები ქვეყანათ. ამ არსებობის ფაქტზე უნდა იფიქროს „მაგრათ“ საერთაშორისო პროლეტარიატმა. ამ გარემოებამ უნდა მისცეს მას მასალა სწორი სამოქმედო გეზის გამოსანახავათ. ეს გეზი უკვე აღებულია დღეს, ის მტკიცეთ ივლის ამ გზით.

კოოპერაციის შესახებ

(ამხ. ლენინის მეორე წერილი).

ყოველთვის როცა ვწერდი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მე მომყავდა ციტატები ჩემი წერილიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1919 წელს. ეს ხშირად იწვევდა იჭვიანობას ზოგიერთ ახალგაზრდა ამხანაგებში.

მათ ეგონათ, რომ არ შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო კაპიტალიზმი ისეთ წყობილებას, როცა წარმოების საშუალებები ეკუთვნის მუშათა კლასს და ამავე მუშათა კლასის ხელშია სახელმწიფო ძალა-უფლებაც. მაგრამ ისინი ვერ ხედავდენ, რომ მე სახელწოდებას „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ ვხმარობდი პირველყოვლისა ისტორიული კავშირისათვის ჩვენს ახალ პოზიციასა და ჩემს პოზიციას შორის ეგრეთ წოდებულ მემარცხენე კომუნისტებთან პოლემიკის დროს; მაშინ, აგრეთვე, მე ვამტკიცებდი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი იქნებოდა უფრო მაღალი ფორმა, ვიდრე ჩვენი თანამედროვე ეკონომიკა; ჩემთვის მნიშვნელობა ჰქონდა დამემყარებია მემკვიდრეობითი კავშირი ჩვეულებრივ სახელმწიფო კაპიტალიზმსა და იმ არაჩვეულებრივ, სრულიად არაჩვეულებრივ სახელმწიფო კაპიტალიზმს შორის, რომელზედაც ვლაპარაკობდი მე, როცა მკითხველი შემყავდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში, მეორე მხრივ, ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრაქტიკულ მიზანს, ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკული მიზანი კი მდგომარეობდა კონცესიების მიღებაში; კონცესიები, ეჭვს გარეშეა, ჩვენს პირობებში იქნებოდა სახელმწიფო კაპიტალიზმის წმინდა ტიპი. აი როგორ მესახებოდა მე მსჯელობა სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ.

მაგრამ არის საქმის, კიდევ ერთი მხარე, როცა ჩვენ შეიძლება დაგვჭირდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი ან მასთან შედარება, ეს არის კოოპერაციის საკითხი.

ეჭვს გარეშეა, კაპიტალისტური სახელმწიფოს პირობებში კოოპერაცია არის კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულება. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ეკონომიური სინამდვილის პირობებში, როცა ჩვენ საბჭოთა კანონების ნიადაგზე და მუშათა კლასის ხელში მყოფ სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ ვაერთებთ კერძო კაპიტალისტურ წარმოებებს თანდათანობითი სოციალისტური ტიპის წარმოებებთან (საწარმოო საშუალებებით, მიწით, რომლებზედაც იმყოფება საწარმოო დაწესებულება და მთელი წარმოება საერთოდ ეკუთვნის სახელმწიფოს), აი აქ ისმება კიდევ საკითხი წარმოების მესამე სახის შესახებ, რომელსაც წინათ, პრინციპიალურის თვალსაზრისით არ ქონდა დამოუკიდებელი მნიშვნელობა: სახელდობრ კოოპერატიული წარმოების შესახებ. კერძო კაპიტალიზმის დროს კოოპერატიული წარმოება განირჩევა კაპიტალისტურისაგან ისე, როგორც კოლექტიური კერძო წარმოებისაგან. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს კოოპერატიული წარმოებანი განირჩევიან სახელმწიფო-კაპიტალისტურისაგან, პირველ ყოვლისა როგორც კერძო და მეორეთ, როგორც კოლექტიური წარმოება. ჩვენში არსებულ წყობილების დროს კოოპერატიული წარმოებანი განირჩევიან კერძო კაპიტალისტურისაგან, როგორც კოლექტიური წარმოებანი, მაგრამ არ განირჩევიან სოციალისტური წარმოებისაგან თუ ისინი მოწყობილია მიწაზე და წარმოების საშუალებები ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს.

აი ამ მდგომარეობას ჩვენში არ უწევენ სათანადო ანგარიშს, როცა მსჯელობენ კოოპერაციაზე, ივიწყებენ, რომ ჩვენი სახელმწიფო წყობილების თავისებურობის გამო, კოოპერაციას ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რომ ცალკე გამოვყოთ კონცესიები, რომელსაც, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, ჩვენში არ მიუღია ფართე განვითარება, კოოპერაცია ჩვენს პირობებში მრავალ შემთხვევებში სრულიად უდრის სოციალიზმს.

განვმარტავს ჩემ აზრს: რაში მდგომარეობს ძველი კოოპერატორების ფანტაზიორობა, ოუენიდან დაწყებული? იმაში, რომ ისინი ოცნებობდენ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების სოციალიზმის საშუალებით თანდათანობით გარდაქმნაზე და მხედველობიდან უშვებდენ ისეთ ძირითად საკითხს, როგორიც არის კლასობრივი ბრძოლის, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების მოპოვების და ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობის საკითხები. და ჩვენ მართალი ვართ, როცა ამ „კოოპერატიულ“ სოციალიზმში ვპოულობთ ფანტასტიკას, რაღაც რომანტიულს, თითქმის უმსგავსობას ოცნებაში იმის შესახებ თუ როგორ გადაიქცეს მცხოვრებთა უბრალო კოოპერატიული გაერთიანებით კლასობრივი მტრები კლასობრივ თანამშრომლებათ, კლასობრივი ომი კლასობრივ ზავათ (ე. წ. სამოქალაქო ზავი).

ეჭვს გარეშეა, რომ თანამედროვე პირობების ძირითადი ამოცანების თვალსაზრისით, ჩვენ მართალი ვიყავით, რადგან კლასობრივი ბრძოლის გარეშე სახელმწიფოში სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია.

მაგრამ შეხედეთ თუ როგორ შეიცვალა პირობები, როცა სახელმწიფო ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, როცა ექსპლოატატორების ბატონობა დაემხო და როცა წარმოების საშუალებები (გარდა ნაწილისა, რომელსაც მუშური სახელმწიფო თავისი ნებით აძლევს საკონცესიოდ ექსპლოატატორებს დროებით და პირობით) მუშათა კლასს ეკუთვნის.

ჩვენ ახლა უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კოოპერაციის უბრალო ზრდა (ზემოთ აღნიშნულ მცირე გამონაკლისს გარდა) იგივეა, რაც სოციალიზმის ზრდა და ამასთან ერთად ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ ძირითადი ცვლილება ჩვენს შეხედულებაში სოციალიზმის შესახებ. ეს ძირითადი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ წინეთ სიმძიმის ცენტრი გვქონდა და უნდა გვქონოდა პოლიტიკურ ბრძოლაში, რევოლიუციაში, ხელისუფლების დაპყრობაში და სხვა. ახლა კი სიმძიმის ცენტრი გადმოგვაქვს მშვიდობიან, ორგანიზაციულ „კულტურულ“ მუშაობაში. მე მზად ვარ ვთქვა, რომ სიმძიმის ცენტრი გადადის კულტურულ მუშაობაში, რომ ხელს არ გვიშლიდეს საერთაშორისო ურთიერთობა, საერთაშორისო მასშტაბში ჩვენი პოზიციებისათვის ბრძოლის აუცილებლობა. მაგრამ, რომ ეს განზე დავტოვოთ და დავკმაყოფილდეთ მარტო შინაური ეკონომიური ურთიერთობით, მაშინ სიმძიმის ცენტრი ჩვენში მართლა კულტურულ მუშაობაში მდგომარეობს.

ჩვენს წინაშე სდგას ორი მთავარი ამოცანა, რომელიც ეპოქას შეადგენს. ეს არის—ამოცანა ჩვენი აპარატის, რომელიც სრულიად უცვლელად მივიღეთ ჩვენ წინანდელი ეპოქასგან; სერიოზული ცვლილებების მოხდენა აქ ჩვენ 5 წლის ბრძოლის პერიოდში ვერ მოვასწარით და არც შეგვეძლო მოგვეწრო. ჩვენი მეორე ამოცანა მდგომარეობს კულტურულ მუშაობაში გლეხებისათვის. ამ კულტურულ მუშაობას გლეხობაში კი ეკონომიური მნიშვნელობით მიზნათ აქვს გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება. რომ მოვახერხოთ სრული კოოპერატიული შეკავშირება, მაშინ ორივე ფეხი სოციალისტურ ნიადაგზე გვედგმებოდა. მაგრამ ეს პირობა სრული კოოპერატიული შეკავშირებისა გულისხმობს გლეხობის (სწორეთ გლეხობის, როგორც დიდი მასის) ისეთ კულტურიოსნობას, რომ შეუძლებელია მთელი კულტურული რევოლიუციის მოუხდენლათ.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ხშირათ გვეუბნებოდენ რომ ჩვენ ვიწყებთ უგუნურ საქმეს—სოციალიზმის დამყარებას კულტურულად არა საკმაოთ მომზადებულ ქვეყანაში. მაგრამ ისინი შეცდენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იმ ბოლოდან, რომლიდანაც უნდა დაგვეწყო (ყველა პედანტების) თეორიის მიხედვით და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინ უძღოდა იმ კულტურულ გადატრიალებას, იმ კულტურულ რევოლიუციას, რომლის წინაშე ჩვენ ახლა მაინც ვდგევართ.

ჩვენთვის ახლა საკმაოა ეს კულტურული რევოლიუცია იმისათვის, რომ გადავიქცეთ ნამდვილ სოციალისტურ ქვეყანათ, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია მეტად დიდ სიძნელეს წარმოადგენს როგორც წმინდა კულტურული (რადგან ჩვენ წერა-კითხვა არ ვიცით) ან მატერიალური მხრით (რადგან კულტურის შესათვისებლათ საჭიროა წარმოების მატერიალური საშუალებების ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური ბაზა).

ნ. ლენინი.

6 იანვარი 1923 წ.

უნდობლათ მოეპყარით მიწების ყიდვა-გაყიდვის საბუთებს

(სოფლის მიწკომების საყურადღებოთ).

სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა დოკუმენტი მიწის ნასყიდობისა, რომელიც წარმოადგინა ორმა პირმა გურიის ერთ-ერთ თემის მიწკომში მას შემდეგ, რაც ამ კომიტეტმა ჩამოართვა მას ერთი ნაჭერი მიწა, გაყიდული საბჭოთა მიწის კანონების გამოცემის შემდეგ. გარეგნულათ ეს დოკუმენტი დამაჯერებელია, რადგანაც ის დაწერილია საღერბო ათ მანეთიან სქელ ქაღალდზე და ზედვე დაკრული ოცი მანეთის მარკები. ავტორები ალბათ ღრმათ დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მიწის კომიტეტებში სხედან „უსწავლელნი“ გლეხები, რომლებიც დაინახავენ თუ არა ამ გარეგნულათ კარგათ შედგენილ დოკუმენტს, ყურადღებას არ მიაქცევენ მის შინაარს და კანონიერ საბუთად აღიარებენ მას. მაგრამ სასტიკად მოსტყუვდენ მატყუარები!

მიუხედავათ იმისა, რომ სოფლის მიწკომებში სხედან „უსწავლელი“ გლეხები, მათ მაინც კარგათ ესმით ძალა და აზრი რევოლიუციონური მიწის კანონებისა და ვერავითარი სქელი დოკუმენტები და შიგ გაბნეული „მაგარი“ სიტყვები ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ მათზე და კანონი ისევ კანონათ დარჩება.

მით უფრო საყურადღებოა ეს დოკუმენტი, რომ იმაზე ხელი უწერიათ 1905 წლის ცნობილ „ყოფილ“ მენშევიკებს, რომლებიც სიტყვით საბჭოთა ხელისუფლებას და მის კანონებს გუნდრუკს უკმევენ, ხოლო საქმით კი მრავალგვარ ბნელ საქმეებს აჭახრაკებენ. მოგვყავს საყურადღებო ადგილები ამ დოკუმენტიდან:

„1918 წელსა, ენკენისთვის ოცსა დღესა, ჩვენ, ქვემორე ამაზე ხელის მომწერებმა, მცხოვრებლებმა ხიდისთავის თემში, კალენიკე და ამელიცა ქლენტებმა, რომელიც ვართ სრულ ჭკვაში... შენ ქიშვარდი ნიკოლაიშვილს... მოგყიდეთ ერთი ნაკვეთი მიწა, სახელწოდებით „ხამესამედო“ (ალბათ ნაკლებ ხარისხოვანი მიწა ყოფილა!) ზომით ერთი ქცევა და სამასი ოთხკუთხი საჟენი... ხსენებული მიწის ფასად გვაქვს მიღებული ორმოცი ათასი მანეთი... თუ რაიმე მიზეზით ზემო აღნიშნული მამული ჩამოგერთმევა ჩვენის მიზეზით და ჩვენვე დაგვიბრუნდება, მაშინ მოვალენი ვართ ფულის კურსის მიხედვით თქვენგან აღებულ ფულში გაგისწორდეთ... ამა პირობით პატრონის უფლება კანონიერი და უცვლელია, მიუხედავად იმისა რა რიგადაც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური თუ ეკონომიური წესები ჩვენი ქვეყნისა ამა პირობის ხელწერილი ორთავე მხარეებისთვის... შესასრულებელია და თუ რომელიმე მხარე დაარღვევს სავსებით ან ნაწილობრივათ პირობის დამცველის სასარგებლოთ იხდის ჯარიმას ას მილიონ მანეთს... პირობის ხელწერილი სავალდებულოთ მისაღებია ყველა სასამართლოებში, ადმინისტრატიულ და საზოგადო დაწესებულებებში თუ კერძო პირებისათვის. (და აგრეთვე მიწკომებშიაც, არა?)... ძალა და აზრი ამა პირობისა გვესმის და მოვალენი ვართ სავსებით დავიცვათ. კალენიკე ქლენტი ამელიცა ქლენტი“.

მკითხველი ადვილათ დაინახავს ამ დოკუმენტის სიყალბეს, ვინაიდან ის წარმოადგენს ულოღიკობისა და უმეცრების, ჭკვა-დაბნეულობის ნაყოფს. ეტყობათ ავტორები ვერ არიან კარგათ გამოწვრთნილი აბლაკატურ ხრიკებში, თუმცა ძალიან ხალისით მოჰკიდებიან საქმეს. მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს და მით უფრო მენშევიკურ ტყუილებს.

ეს დოკუმენტი შედგენილია არა 1918 წელს, არამედ მას შემდეგ, როდესაც გამოიცა მიწის კანონები და სახელდობრ იმ დროს, როდესაც მიწის რეფორმის გატარებას საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრით შეუდგა, ესე იგი ამ 1923 წლის გაზაფხულზე. ხიდისთავის თემის მიწკომმა ის აღიარა ყალბ დოკუმენტად და პასუხისგებაში მისცა მისი ავტორები. რაზე ეყრდნობოდენ ისინი?

1) დოკუმენტი არ არის გატარებული ექსპერტიზაში, მაგრამ უბრალოთაც კი შესამჩნევია, რომ მელანი ჯერაც ფერუცვლელია.

2) 1918 წელს 1 ერთი მესამედი ქცევა მიწა და ისიც ნაკლებ ხარისხოვანი არ ღირდა 40.000 მანეთი.

3) არავითარ ფულის კურსზე მსჯელობა და წერა 1918-ში არ შეიძლებოდა.

4) ასი მილიონი მანეთი ჯარიმა 1918 წელში არ შეეძლო გადაეხადა არამც თუ ვიღაც ქლენტებს, არამედ ეს არ შეეძლო თვით საქართველოს მენშევიკურ მთავრობასაც კი.

5) 1918 წელში ყველა მენშევიკი ღრმათ დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მათი დემოკრატიული რესპუბლიკა იყო უცვლელი და არავითარ საჭიროებას არ მოითხოვდა „პოლიტიკურ-ეკონომიურ“ ცვლილებებზე ლაპარაკი.

6) ის ქართული საღერბო მარკები, რომელიც დაკრულია და ხელმოწერილია ავტორების მიერ 1918 წელში გამოცემულია 1919 წელში და მაშასადამე არავითარ ზესთაბუნებრივ ძალას არ შეეძლო ხმარებაში გაეშვა ისინი 1918 წელში. მაგრამ ის, რაც არ შეეძლო არავითარ ძალას,—ეს შესძლეს ბატონ ქლენტებმა.

მიუხედავათ იმისა, რომ ავტორნი ხელწერილისა ვალდებულათ ხდიან ყველას მოწიწებით თაყვანი სცენ ამ ნასყიდობის ქაღალდს, რომელიც არც ერთ დაწესებულებაში არ არის შემოწმებული, მიწის კომიტეტებში მომუშავე „უსწავლელმა“ გლეხებმა არ იცნეს იგი კანონიერათ.

ასეთი დოკუმენტები იწერება მრავალი, იყიდება მიწები უკანა რიცხვით, მაგრამ ჩვენი რევოლიუციონური გლეხობა ფხიზლათ სდგას თავიანთი ინტერესების სადარაჯოზე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ასეთ დოკუმენტებს და დამნაშავეებს პასუხისგებაში აძლევს.

ვერდენი.

რადიო-ტელეგრამები

რურის ამბები

რურის ამბების მიზეზი.

პარიზი. 2 ივნისი. საერთო აზრის მიხედვით, რურში საგაფიცვო მოძრაობა ატარებდა უმთავრესად ეკონომიურ ხასიათს.

კომუნისტების დაპატიმრება დორტმუნდში და ბოხუმში.

პარიზი. 2 ივნისი. გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა დორტმუნდში და ბოხუმში მრავალი კომუნისტი.

მუშების დემონსტრაცია რეიხსტაგის წინ.

პარიზი. 2 ივნისი. რურის ცენტრალური გერმანიის და ბერლინის მუშების დელეგატებმა გამართეს რეიხსტაგის წინ საპროტესტო დემონსტრაცია და მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება

მუშათა ბელადების დაპატიმრება ბოხუმში.

ლონდონი. 2 ივნისი. „დეილი მეილის“ დიუსელდორფელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბოხუმში პოლიციამ დააპატიმრა ბოხუმის მუშების უკანასკნელი გამოსვლების ბელადები. პოლიციამ ხელთ იგდო აგრეთვე იარაღის საწყობები.

კომუნისტების დაპატიმრება ელბერფელდში.

ბერლინი. 2 ივნისი. ელბერფელდში პოლიციამ დაიკავა კომუნისტური ორგანიზაციის შენობა, გაჩხრიკა დოკუმენტები და დააპატიმრა 16 კომუნისტი.

[illegible] დიპლომატები.

რომი. 2 ივნისი. საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ხმებს, თითქოს საფრანგეთის ჯარები მონაწილეობას ღებულობენ რურში მუშათა მოძრაობის ჩაქრობაში. რასაც შედეგათ მოჰყვა მრავალი მოკლულები და დაჭრილები.

გაფიცვა შემცირდა.

რომი. 2 ივნისი. დიუსელდორფიდან მიღებული ცნობით, რურის მრავალ ადგილებში განახლდა მუშაობა ფაბრიკებსა და წარმოებებში.

კომუნიზმის წითელი აჩრდილი

ბერლინი. 2 ივნისი. გერმანიის გაზეთების უმრავლესობის აზრით, გერმანიის მთავრობის რამოდენიმე წევრს ამ ჟამად გერმანია ურჩევნიათ მონარქიათ იხილონ, ვიდრე რესპუბლიკად. **მთავრობის წევრებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს რურის ოლქში გამოჩენილი ბოლშევიზმის აჩრდილი.** ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის თავიდან ასაშორებლად ერთად-ერთი გამოსავალი,—ეს ფაშისტური გადატრიალების მოხდენა. გაზეთები, რომელნიც ამ თვალსაზრისზე სდგანან, უკმაყოფილო არიან იმის გამო, რომ მთავრობამ ნება მისცა მუშებს დემონსტრაცია მოეწყოთ ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

რურის ოლქის ოკუპაცია

ბანკირები ამოძრავდნენ.

ლონდონი. 2 ივნისი. ინგლისის სავაჭრო პალატათა კავშირი მოითხოვს, რათა ლონდონში მოწვეულ იქნას ხუთი სახელმწიფოს სავაჭრო პალატათა კონფერენცია, საკონტრიბუციო საკითხის გადასაწყვეტათ, რადგანაც ამ საკითხში არსებული დღევანდელი გაურკვევლობა ზიანს აყენებს ევროპის მშვიდობიანობას და აფერხებს ევროპის ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებას. ასეთივე აზრი გამოსთქვეს ერთის დროს იტალიის სავაჭრო პალატამაც. ინგლისის სავაჭრო პალატებმა მიჰმართეს ნიუ-იორკის საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენელს უილის ბუტს და სთხოვეს, ნიადაგი შეამზადოს, რათა შესაფერ დროს მოწვეულ იქნეს ლონდონში სავაჭრო პალატათა საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციაზე დასასწრებლად ინგლისის სავაჭრო პალატებმა აირჩიეს ფილიპს შუსტერი, კანნედი და ცნობილი ეკონომისტი ჯონსტენი.

საფრანგეთის წრეების აზრი სავაჭრო პალატათა წინადადების შესახებ.

ლონდონი. 2 მაისი პარიზის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ საფრანგეთის მთავრობას, რურის ოლქში თავისი მოქმედების დაწყებისას, განზრახვა არა ჰქონია საკონტრიბუციო საკითხის გამოთიშვა მოკავშირეთა ხელიდან. სავაჭრო პალატათა საერთაშორისო კონფერენციის ლონდონში მოწვევა ნაადრევად მიაჩნიათ.

იმპერიალისტები იცნობენ თავის ლაქიებს.

ბერლინი. 2 ივნისი. სოციალ-დემოკრატიის გაზეთი „ფორვერტს“-ი ათავსებს საპოლემიკო წერილს პუანკარეს განცხადების გამო დეპუტატთა პალატაში, რომელშიაც საფრანგეთის პრემიერმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უწოდა მხდალი და მერყევი.

თვალსაჩინო კომპენსაცია.

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის მრეწველებმა იმის სანაზღაუროთ, რომ მაღაროს მუშებს 52 პროცენტით გაუდიდეს ხელფასი, ქვა-ნახშირზე ასწიეს ფასი 59-ით.

1 ივნისიდან სატვირთო ამანათების გაგზავნა გაძვირდა ერთი-ორად, ტელეფონი კი—ერთი-ოთხად.

რურის დაკავების გამოძახილი.

ბერლინი. 2 ივნისი. გერმანიის რეიხსტაგმა მოიწონა მთავრობის განკარგულება 1 ივნისიდან ნახშირის ფასების 50 პროცენტით გადიდების შესახებ.

მოილაპარაკეს.

ბერლინი. 2 ივნისი. კანცლერ კუნოს და გერმანიის პარტიების ლიდერების მოლაპარაკების დამთავრების გამო, ფიქრობენ, რომ მომავალი კვირის დასაწყისში მოკავშირეებს გადაეცემა ნოტა გერმანიის ახალი წინადადებებით.

ლოზანას კონფერენცია

ისმეტ-ფაშას განცხადება.

ბერლინი 31 მაისი. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ისმეტ ფაშამ განაცხადა: როდესაც ოსმალეთს გადაეცემა ყარაგაჩი, მაშინ ოსმალეთი უზრუნველჰყოფს ბულგარეთს ეგეის ზღვისაკენ გასვლით.

ოსმალეთმა უარი სთქვა კასტელლორიცოზე

ბერლინი. 2 ივნისი. „ტანის“ ცნობებით, ოსმალეთმა უარი სთქვა კუნძულ კასტელლო-რიცოზე.

შეთანხმება ფრაკიის საზღვრების შესახებ.

რომი. 2 ივნისი. საბერძნეთის მიერ ოსმალეთისათვის ყარაგაჩის დათმობასთან დაკავშირებით, ფრაკიის საზღვრების გამომრკვევმა კომისიამ სრულ შეთანხმებას მიაღწია. მოკავშირეების დელეგატები დარწმუნებული არიან, რომ ბულგარეთისთვისაც ძნელი არ იქნება ოსმალეთთან და საბერძნეთთან შეთანხმება ბულგარეთისათვის ეგეის ზღვისაკენ გზის გახსნის საკითხის პრაქტიკულად საუკეთესოდ გადაჭრის საქმეში.

ტერიტორიის საკითხები გადაწყვეტილია

ლონდონი 2 ივნისი ამ ჟამად მოკავშირეთა დელეგაციებმა მოახერხეს ოსმალეთის დელეგაციასთან შეთანხმება ყველა ტერიტორიალურ საკითხების შესახებ. ყველა სხვა დანარჩენ სადაო საკითხებზე მიღწეულია მხოლოდ ნაწილობრივი შეთანხმება

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთ-პოლონეთის მოლაპარაკების შეწყვეტა.

ანგორა. 30 მაისი. „ხაკიმიეთ მილიე“ ოსმალეთ-პოლონეთის მოლაპარაკების შეწყვეტის გამო სწერს: „პოლონეთს ანგარება ამოქმედებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პოლონეთი შეიგნებს თავისი პოლიტიკის შეცდომას“.

გერმანია და ანტანტა

პარიზის წრეები უკმაყოფილო არიან ინგლისის მთავრობით.

ბერლინი. 2 ივნისი. პარიზის წრეებში აღნიშნავენ ინგლისის მთავრობის გამარჯვებას, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან აიძულა ბელგია შეეცვალა თავისი თვალსაზრისი საკონტრიბუციო საკითხში.

საფრანგეთის გაზეთები უკმაყოფილონი არიან ინგლისის გავლენით და აღნიშნავენ, რომ ლონდონის მთავრობა ცდილობს გათიშვა შეიტანოს სახელმწიფოების ურთიერთობაში, რომელთა მჭიდრო თანამშრომლობა მას არ ესიამოვნება.

მუსოლინის პოზიცია.

ბერლინი. 2 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობებით, იტალიის კაბინეტი ამ აზრს იზიარებს, რომ გერმანიის ახალი წინადადებები და პასუხი მასზე მოკავშირეების მხრივ განხილული უნდა იქნეს ყველა მოკავშირეების მიერ ერთად.

კომუნისტების დევნა

ბერლინი. 1 მაისი. რურის უკანასკნელი ამბების გამო, ბერლინის გაზეთები სავსეა ცნობებით პოლიციის მიერ კომუნისტების მასიურ დევნის შესახებ. ბოხუმსა და დორტმუნდში პოლიციას დიდძალი კომუნისტები შეუპყრია საპყრობილეში და რურის ოლქში მუშათა დელეგაციები ყოველდღე დაიარებიან რეიხსტაგში შევერინგთან და პროტესტს უცხადებენ კომუნისტების დევნის გამო.

პოლონეთის ახალი მთავრობა

პილსუდსკი შეუფერებელი იყო თავის თანამდებობისათვის.

ვარშავა. 31 მაისი. პრესა დაწვრილებით შეეხო პილსუდსკის გადადგომას. „რობოტნიკი“ და „კურიერ პორანნი“ აღნიშნავენ, რომ პილსუდსკის წასვლა—მძიმე დანაკლისია პოლონეთის ჯარისათვის. მემარჯვენე გაზეთები, პირიქით, ფიქრობენ, რომ პილსუდსკი სრულებით არ შეეფერებოდა გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობას. მემარჯვენე გაზეთები იტყობინებიან, რომ ფოში არ მალავდა თავის აზრს პილსუდსკის შესახებ: ფოშის აზრით ის შეუფერებელი იყო თავისი თანამდებობისათვის.

ქალთა ინტერნაციონალური კონფერენცია

ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების გამაერთიანებელ კონგრესთან ერთად ჰამბურგში გაიხსნა გაერთიანების გამო ქალთა საერთაშორისო სოც.-დემოკრ. ყრილობა, ეს პირველი ყრილობაა ომის დაწყების შემდეგ. უკანასკნელათ ის მოწვეული იყო 1910 წელს კოპენჰაგენში, მაშინ რევოლიუციონური მასების წარმომადგენლები გაერთიანებული იყვნენ ერთ ინტერნაციონალში. კონფერენციის მიზანია პროლეტარ ქალების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევა სხვადასხვა ქვეყნებში, ყრილობამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ზოგიერთ კონკრეტიულ კითხვებისადმი. ყრილობის უმთავრესი ამოცანაა, როგორც ჩანს, იქნება სხვადასხვა ქვეყნის სოციალ დემოკრატ ქალების ორგანიზაციული გაერთიანება და ქალთა სეკრეტარიატის მოწყობა ახლათ გაერთიანებულ ოპორტიუნისტულ ინტერნაციონალთან.

რა მნიშვნელობა ექნება ამ ყრილობას მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის რას შემატებს ის მუშა ქალებს?

ამ გაერთიანების ძალა, როგორც სჩანს, არ იქნება გამოყენებული უფრო გადამჭრელი ბრძოლის საწარმოებლათ. პირიქით, მოსალოდნელია რომ ეს გაერთიანება აშკარად შეუწყობს ხელს მშრომელთა გაყვლეფას ექსპლოატატორების მიერ. ცხადია, რომ ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატი, რომელიც ახლა ეწყობა, ეს არის ახალი პოზიცია რევოლიუციონური ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ. თითქმის ათი წლის განმავლობაში ომის დაწყების შემდეგ არც მეორე და არც ორნახევარი ინტერნაციონალს არ უფიქრიათ ქალთა საერთაშორისო გაერთიანებაზე კლასობრივი ბრძოლის საწარმოებლათ, იმ დროს, როცა კომინტერნმა არსებობის ერთი წლის თავზე მოიწვია კომუნისტ ქალების საერთაშორისო ყრილობა მოსკოვში და კლარა ცეტკინის ინიციატივით კომუნისტურ ინტერნაციონალთან მოაწყო ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატი. მაშინ, როცა კომუნისტ ქალების საერთაშორისო დღესასწაულის დროს ყველა ქვეყნებში ხდებოდა გრანდიოზული დემონსტრაციები, სოციალ-დემოკრატმა ქალებმა დაივიწყეს თავისი საერთაშორისო დღე ან თუ დღესასწაულობდენ ამ დღეს აწყობდენ ცეკვის საღამოებს ისე, როგორც ეს მოუვიდათ სოციალ-დემოკრატებს პირველ მაისს.

ნუთუ ახლა სხვა სიომ დაჰბერა შემთანხმებელთა რიგებში? ნუ თუ შემთანხმებლები დარწმუნდენ, რომ მუშა-ქალები აუცილებელი მოკავშირეები არიან ძირმომპალი, სიცოცხლის უნარის არ მქონე კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს? არა. მაგრამ, რადგან მათ აშინებს მშრომელთა ერთიანი ფრონტი, რომელიც წინააღმდეგ მათი სურვილისა, მაინც ხორციელდება, რადგან მშრომელ ქალების უფრო და უფრო მეტი მასები პოულობენ გზას რევოლიუციონური პროლეტარული ფრონტისაკენ, სოციალ-შემთანხმებლებს საჭიროთ მიაჩნიათ კონტრ-ზომების მიღება. დღემდი ქალთა დიდი მასები, მათი შეუგნებლობის გამო, რეაქციის დასაყრდნობს წარმოადგენდენ. მაგრამ მუშათა მოძრაობის განვითარებამ, ყველა იმ საფრთხეთა გაძლიერებამ, რომლებიც საერთაშორისო მუშათა კლასს ემუქრებიან, დიდი ცვლილებები მოახდინა ქალებს შორისაც. ათეული ათასი, დღემდი პოლიტიკის გარეშე მდგომი მუშა-ქალები გერმანიაში აწყობენ საკონტროლო კომიტეტებს სიძვირისა და სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლათ. საფრანგეთში ათასეული მუშა-ქალები აღფრთოვანებული არიან შრომის ხელფასის მიზნით დაწყებული გაფიცვით, რომელიც მთელი კვირეები გრძელდება, ასე იყო მაგალითად პარიზის ტანისამოსის დამამზადებელ წარმოებაში და ლილის საფეიქრო მრეწველობაში. ინგლისში, ორ მილიონზე მეტ უმუშევრებთან ერთად ასეული ათასი უმუშევარი მუშა-ქალები, რომელთაც არ სურთ შიმშილისაგან ქუჩაში სიკვდილი, თავის პროტესტს გამოხატავენ დემონსტრაციებით და ბრძოლით.

სოც.-დემოკრატიას არ შეუძლია დამშვიდებით უცქიროს ქალთა მოძრაობის ასე განვითარებას. თუ წინეთ სოციალ-დემოკრატებისათვის ქალები, მათი პასივობის გამო, ისეთი ფაქტორი იყო, რომელსაც დიდ ანგარიშს არ უწევდენ, ახლა კი ბრძოლის გამწვავების და ქალების საერთო მოძრაობაში ჩაბმის გამო, სოციალ-დემოკრატები უკვე იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მათ. ისინი ფიქრობენ, რომ ერთხელ კიდევ შესძლებენ ქალების თავის მოყრას თავის დროშების გარშემო, ამიტომ ისინი თავის თავზე იღებენ, სიტყვით, რასაკვირველია, მათი ინტერესების დაცვას. თავის თავად ცხადია რომ სოციალ-დემოკრატიის ლიდერები არც ფიქრობენ კაპიტალისტური სისტემის და კლასობრივი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას და შემთხვევითი არ არის ის ფაქტი რომ დღემდი, კონფერენციის ამოცანების საკითხის განხილვის დროს ერთხელაც არ აღუნიშნავთ პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი, ერთხელაც არ მოუთხოვიათ ქალთა მონაწილეობა ერთიან ფრონტში, რაც აუცილებელი პირობაა ქალთა განთავისუფლებლათ. „დედაკაცის და მამაკაცის უფლებრივი გათანასწორება“—ეს ლოზუნგი სავსებით შეეფერება იმ დემოკრატიულ ილუზიებს, რომლებიც პირდაპირ გზას უხლართავენ მუშებს მიზნისკენ ან, უკეთეს შემთხვევაში, აგრძელებენ სავალ გზას.

ასეთივე ხასიათისაა ახალი თაობის აღზრდის პროექტიც. ამის მაგიერ, რომ აწარმოონ შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად ემუქრება საერთაშორისო პროლეტარიატს ახალი ომის სახით, ისინი აპირებენ მოცდას, სანამ წამოიზრდება ახალი თაობა.

საერთოდ ქალთა საერთაშორისო ყრილობა, ისე როგორც სოციალ-შემთანხმებელთა ახალი ინტერნაციონალის ქალთა სეკრეტარიატი ეს არის ხრიკი რევოლიუციონური კომუნისტური პროპაგანდის და ერთიანი ფრონტის შექმნის წინააღმდეგ.

რამდენათაც სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალი და მისი ორგანო—ქალთა სეკრეტარიატი წამოაყენებენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებსაც მიზნათ აქვთ პროლეტარ-ქალების ინტერესების დაცვა, კომუნისტები ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ მათ, რა რიგ პატარა არ იყოს ეს მოთხოვნილებები საბოლოო მიზანთან შედარებით. მაგრამ ჩვენ სასტიკად გამოვააშკარავებთ მასების წინაშე მათ ყოველგვარ მერყეობას, ფარისევლობას, მუშა-ქალების ინტერესების აბუჩათ აგდებას და თუ საჭირო დარჩა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების ლიდერების ნებასურვილისა წავიყვანთ მუშათა მასების საბოლოო მიზნისაკენ, რაც უნდა კარგი არ სთქვას ქალთა კონფერენციამ ჰამბურგში ამა თუ იმ კონკრეტიული საკითხის შესახებ, საერთო ხაზი მისი გადაწყვეტილებების იგივე იქნება, რაც მას დაუხატავს ოპორტიუნისტული ინტერნაციონალი.

მისი გზა მიდის პარალელურად პაციფისტების, რეფორმისტების და კოალიციის მეგობრების გზასთან, ბურჟუაზიის, პროლეტარიატის ამ შეურიგებელი მტრის ბანაკში. პროლეტარ-ქალთა მასები არ უნდა გაჰყვენ მათ ამ გზით, რომელიც უფსკრულისაკენ მიდის.

ც. ზ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

„ბაქოს დახვრეტილ 26 კომისრის ოჯახების დამხმარე კომისია",

სადაც თავი მოეყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომის მდივანი: **ტალიბლი.**

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები,
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და არევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამსურათებელი მასალები.

„პოლონეთის პოლიტიკის შეცვლა ხიფათია".

ვარშავა. 31 მაისი. „კურიერ პოლსკი" აფრთხილებს ახალ მთავრობას არ შეცვალოს პოლონეთის პოლიტიკა. „კურიერ პორანნი" აგრეთვე შიშობს პოლიტიკის გამოცვლით და ფიქრობს, რომ მემარცხენე პარტიებს თვალყურის დევნება ექნებათ კაბინეტის საგარეო პოლიტიკისათვის იმის შიშით, რომ ნაციონალ-დემოკრატების პანსლავიტურ ტენდენციებს შეუძლიანთ დაღუპონ პოლონეთი.

ფაშიზმის წინააღმდეგ

ფაშისტების ულტიმატუმი.

ფაშისტების ულტიმატუმი.

რომი 31 მაისი. მუსოლინის გაზეთ „პოპოლოში" გამოქვეყნებულია ფაშისტების ულტიმატუმი, რომელიც რომის ყველა გაზეთებშია გადაბეჭდილი. ამ ულტიმატუმში, რომლის სათაურიცაა „ფაშისტებო მზათ იყავით ბრძოლისათვის" ნათქვამია, რომ თუმცა იტალიის ხალხის უმრავლესობას ესმის ფაშიზმის მნიშვნელობა, მაგრამ მაინც ძველი სკოლის ზოგიერთი პოლიტიკოსები ცდილობენ დაარწმუნონ ხალხი „სამხედრო ჯგუფის" მავნებლობაში. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ფაშიზმი არ დაყრის იარაღს სრულ გამარჯვებამდე.

რუსეთი და ინგლისი

„დეილი ჰერალდ"-ი კერზონის უკანასკნელი პასუხის შესახებ.

ლონდონი. 31 მაისი. უკეთებს რა ანალიზს კერზონის უკანასკნელ პასუხს, „დეილი ჰერალდი" სწერს: „კერზონი თავის მემორანდუმში მთელ თავის ყურადღებას აქცევს თეირანში და ქაბულში საბჭოთა წარმომადგენლების საკითხს და მოითხოვს მათ გაწვევას. როგორც ჩანს, საკითხი მიდგა ამ ორი პირის შესახებ. ვინაიდან კერზონი იმუქრება განხეთქილებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იქნებიან გაწვეულნი, თუნდაც რომ სხვა საკითხებში მოხდეს შეთანხმება. ალბად, საბჭოთა მთავრობა უპასუხებს, რომ ბრიტანეთის მოთხოვნილება დაუშვებელია. მაშინ შეიქმნება რეალური საფრთხე, რომ კერზონი თანახმა იქნება განხეთქილებაზე.

მაკ ნეილის განცხადება.

ლონდონი. 31 მაისი. თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვებზე, სთვლის თუ არა ბრიტანეთის მთავრობა საზიანოდ სავაჭრო ხელშეკრულების შეწყვეტას რუსეთთან, მინისტრის ამხანაგმა მაკ ნეილმა განაცხადა, რომ ინგლისის სავაჭრო პალატათა წარმომადგენლების კავშირმა მოიწონა ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკა და მისი აზრით სავაჭრო შეთანხმებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ინგლისის ვაჭრობისათვის. შემდეგ გამოვიდნენ მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ტრედუნიონების საბჭოს აზრს, რომელიც მოითხოვს შეთანხმების გაფართოებას, ნაკლები ფასი არ აქვს, ვიდრე ვაჭრების აზრს.

კერზონის პასუხი რუსეთის მეორე ნოტაზე

მოსკოვი. 1 ივნისი. 29 მაისს კერზონმა გადასცა კრასინს საპასუხო მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობა კმაყოფილებით აღიარებს, რომ საბჭოთა მთავრობა, გარდა ერთი მუხლისა, მიდის შეთანხმების გზით. ნათლად გამოირკვა, რომ ორივე მხარე ცდილობს იმ დაბრკოლებების აცილებას, რომლებიც ხელს უშლიან შემდეგში სავაჭრო ხელშეკრულების დაცვას. ნოტა აღნიშნავს, რომ ოთხი სერიოზული საკითხიდან, სამმა უკვე დაკარგა თავისი სიმწვავე და მათ შესახებ შეიძლება შეთანხმების მიღწევა.

ინგლისი თანახმა არის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაზე.

ინგლისის მთავრობას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ტერიტორიალური წყლების საკითხი გაირჩეს საერთაშორისო კონფერენციაზე და მზად არის გამართოს მოლაპარაკება დიდ სახელმწიფოებთან იმის გამოსარკვევად სურთ თუ არა მათ ასეთ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. ინგლისის მთავრობა მზად არის თავის თავზე აიღოს ამ კონფერენციის მოწვევის ინიციატივა, თუმცა წინდაწინვე არ იცის თუ რა პოზიციას დაიჭერენ ამ საკითხში სხვა სახელმწიფოები.

ინგლისი თანახმაა ჯერ-ჯერობით დროებით შეთანხმებაზე.

ჯერ-ჯერობით დიდი ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა დადოს საბჭოთა მთავრობასთან დროებითი შეთანხმება, რომლის ძალითაც ინგლისის ტრალერებს ხელს არ შეუშლიან თევზის დაჭერის დროს სამ მილიანი ზონის გარეთ. ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ შეთანხმებამ არ უნდა მიიღოს ფორმალური კონვენციის ხასიათი, რადგან მეთევზეობა სამ მილიანი ზონის გარეთ ისედაც დაშვებულია საერთაშორისო უფლებით. ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ, რომ საბჭოთა მთავრობამ მისცეს განკარგულება თავის საზღვაო ადმინისტრაციას არ შეუშალონ ხელი ინგლისის ტრალერებს სამ მილიანი ზონის გარეთ.

„მცირე" მოთხოვნილებები.

დევისონ-გარდის კომპენსაციის შესახებ, თუმცა ინგლისის მთავრობა არ ეთანხმება საბჭოთა ნოტის შენიშვნებს, რომლებიც ამართლებენ რუსეთის მთავრობის მოქმედებას, მაგრამ ის დაკმაყოფილებულია საბჭოთა მთავრობის თანხმობით კომპენსაციის გადახდაზე, ინგლისის მთავრობა წინადადებას იძლევა მისცეს გარდინგს 3.000, დევისონს კი — 10.000 გირ. სტერლინგი. ნოტა აღნიშნავს, რომ ასეთი „მცირე" მოთხოვნილებები წამოყენებულია იმ იმედით, რომ ადვილი იქნება შეთანხმების მიღწევა. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა არ იქნება თანახმა გადაიხადოს აღნიშნული თანხები, ინგლისის მთავრობა მზად არის გადასცეს ეს საკითხი განსახილველად სამედიატორო სასამართლოს, და წამოაყენოს სხვა, უფრო დიდი ციფრები, რომლებიც დამყარებული იქნებიან დეტალურ ანგარიშებზე.

ინგლისი ელის სხვა ვალების ანაზღაურებას.

ინგლისის მთავრობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ რუსეთის პასუხში არაფერია ნათქვამი რუსეთში დაზარალებულ სხვა ინგლისელ ქვეშევრდომთათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ. ინგლისის მთავრობას არ შეუძლია დასთანხმდეს, რომ აღნიშნულ პრეტენზიების საკითხის განხილვა გადაიდოს განუსაზღვრელი ვადით და მოელის საბჭოთა მთავრობისაგან თანხმობას ამ მიზნისათვის საჭირო აპარატის შექმნის შესახებ, როგორც კი ამ კონფლიქტის გამო შეთანხმება იქნება მიღწეული.

პროპაგანდის საკითხი გადასინჯვას არ მოითხოვს.

ინგლისის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს ვაინშტეინის წერილების უკან წაღებას. მაგრამ მას აკვირვებს ის გარემოება, რომ მთავარ საკითხზე — საბჭოთა მთავრობის პროპაგანდის შესახებ ბრიტანეთის წინააღმდეგ, რუსეთის ნოტაში არ არის მოცემული დამაკმაყოფილებელი პასუხი. პროპაგანდის შეწყვეტაზე თუ გაგრძელებაზე კი დამოკიდებულია სავაჭრო ხელშეკრულების ბედი. ინგლისს ზედმეტად მიაჩნია ინგლისის ნოტაში აღნიშნულ შემთხვევების შემოწმება ან კონფერენციის მოწვევა ამ საკითხის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა მთავრობა. მას არ მიაჩნია საჭიროდ აგრეთვე მოსალაპარაკებლად ჩიჩერინის გამოგზავნა, რადგან კრასინს საკმაო რწმუნება აქვს.

ინგლისი არ მოითხოვს ამხ.-ბის შუმიაცკის და რასკოლნიკოვის დაუყოვნებლივ გაწვევას.

თუმცა ინგლისს თავის მოთხოვნილება რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების გაწვევის შესახებ არ მიაჩნია უსაფუძვლოდ, მაგრამ თუ საბჭოთა მთავრობა ინგლისის მთავრობას მისცემს დაპირებას, რომ ეს ოფიციალური პირები „დანიშნულ ვადაში" გადაყვანილი იქნებიან სხვაგან, სადაც მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს ისინი არ შეეჯახებიან ინგლისის ინტერესებს, ინგლისის მთავრობა აღარ მოითხოვს დაჟინებით თავისი პირველი მოთხოვნილების შესრულებას.

სავაჭრო ხელშეკრულება არ დაირღვევა თუ შესრულებული იქნება ეს პირობები.

ნოტა აღნიშნავს, რომ თუ საბჭოთა მთავრობა შეასრულებს ამ პირობებს, სავაჭრო ხელშეკრულება დაცული იქნება. რადგან საბჭოთა მთავრობამ თვით განაცხადა, რომ მზად არის გაიმეოროს დაპირება პროპაგანდისაგან თავის შეკავების შესახებ ან დაადასტუროს ეს ცალკე დეკლარაციით, ინგლისის მთავრობა ამასთანავე აგზავნის შესაფერ განცხადებას საბჭოთა მთავრობის მიერ ხელის მოსაწერად. თავის მხრივ ინგლისის მთავრობა კისრულობს ანალოგიურ მოვალეობას — თავი შეიკავოს ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დახმარების გაწევისაგან ისეთი მოძრაობისათვის, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთში ახლა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობას. თუ დეკლარაცია ხელმოწერილი იქნება, ინგლისის მთავრობა შეთანხმების დარღვევის ცალკეულის ფაქტის შესახებ აცნობებს საბჭოთა მთავრობას.

დასასრულ ინგლისის მთავრობა სთხოვს საბჭოთა მთავრობას საბოლოო პასუხის მოცემას.

ნოტას ხელს აწერს კერზონი.

ინგლისის მთავრობის დეკლარაციის ტექსტი პროპაგანდის შესახებ.

ინგლისის დეკლარაციის ტექსტი პროპაგანდის შესახებ ასეთია:

„საბჭოთა მთავრობა თავის და აგრეთვე ყველა საკავშირო მთავრობების სახელით აახლებს ვალდებულებას, რომელიც მოცემულია სავაჭრო ხელშეკრულებაში, თავი შეიკავოს ყოველგვარი მტრული მოქმედებისაგან და პირდაპირი თუ არაპირდაპირი პროპაგანდისაგან ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ინდოეთში და ავღანისტანში. ინგლისის მთავრობა ასეთივე ვალდებულებას კისრულობს რუსეთის წინაშე. საბჭოთა მთავრობა კისრულობს ვალდებულებას არ გაუწიოს ფინანსიური ან სხვა რაიმე დახმარება ისეთ პირებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ აჯანყებისათვის ხელის შეწყობას ბრიტანეთის იმპერიის რომელიმე ნაწილში. ასეთივე დაპირებას აძლევს ბრიტანეთის მთავრობა საბჭოთა მთავრობას.

სხვადასხვა ამბები

ჩეხო-სლოვაკია

კომპარტიის პროტესტი.

პრაგა. 30 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცეკამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია კომუნისტური ახალგაზრდობის სისტემატიური დევნის წინააღმდეგ და მოუწოდებს უკანასკნელს განაგრძოს მუშაობა და არ შეუშინდეს დევნას.

გერმანია

დამოუკიდებელთა პარტიის მოწოდება.

ბერლინი. 29 მაისი. დამოუკიდებელთა პარტიის პრეზიდიუმმა მოწოდება გამოუშვა, რომელშიც აღნიშნულია წარმოებებში პროლეტარული თვითდაცვის რაზმების შედგენის აუცილებლობა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელმძღვანელობით. ცნობების მიხედვით საქსონიის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ულტიმატიური მოწოდება პროლეტარული ჯგუფების შექმნის შესახებ გამარჯვებით დაგვირგვინდა.

უმუშევართა აღშფოთება დრეზდენში.

ბერლინი. 29 მაისი. დრეზდენში მესამე დღეა რაც გრძელდება უმუშევრების აღშფოთება. გამოტანილ რეზოლიუციებში დრეზდენის მსხვილი წარმოებების მთელი რიგი სიმპატიებს უცხადებს უმუშევრებს.

პოლონეთი

პილსუდსკის გადადგომა.

ვარშავა. 30 მაისი. დღეს ოფიციალურად იტყობინებიან, რომ გუშინ პილსუდსკიმ თხოვნა შეიტანა გადადგომის შესახებ, რომელშიაც ის თხოულობს აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან სრულიად განთავისუფლებას. მემარცხენე გაზეთების წარმომადგენლებთან საუბრის დროს პილსუდსკიმ თავისი გადადგომის მიზეზი ახსნა აზრთა იმ წინააღმდეგობით, რომელიც მთავრობაში შეიქნა, ეს გარემოება კი შეუძლებელს ხდის შეთანხმებულ მუშაობას.

საფრანგეთი

გამოძიება კომუნისტების საქმის შესახებ.

პარიზი. 30 მაისი. სასამართლოს გამომძიებელს მოსლენს ისევ დაევალა აწარმოოს ოფიციალური გამოძიება კომუნისტების სახელმწიფო შეთქმულების საქმის შესახებ.

ხელს უშლიან მარტის წარჩინებას.

პარიზი. 30 მაისი. მარტის კანდიდატურის წამოყენების ხელის შესაშლელად, საფრანგეთის მთავრობა კანონპროექტის შემოღებას ფიქრობს, რომელიც გააძნელებს არა სასურველ კანდიდატების წამოყენებას.

ამერიკა!

რესპუბლიკელები წინააღმდეგი არიან ამერიკის ევროპის საქმეებში ჩარევის.

ნიუ-იორკი. 30 მაისი. რესპუბლიკანელების პარტიის ეროვნულ კომიტეტის თავმჯდომარის ადამსის გამოქვეყნებულ განცხადებაში მტკიცდება რესპუბლიკანელების ოპოზიციონური პოლიტიკა. ადამსი უარყოფით ეკიდება ამერიკის ევროპიულ საქმეებში ჩარევას და კიცხავს იმ პირთ, ვინც ცდილობს ამერიკის ერთა ლიგის მუშაობაში ჩაბმას.

ბელგია.

მოლაპარაკების გარშემო.

ანტვერპენი. 30 მაისი. ბელგიის ოფიციალურ წრეებში იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება საერთო სარეპარაციო გეგმის შემუშავებით დამთავრდება, რომელიც დააკმაყოფილებს მოკავშირეების მოთხოვნილებებს.

რკინისგზელების გაფიცვა

ანტვერპენი, 30 მაისი. ბელგიის რკინისგზელების გაფიცვა იზრდება.

ფინლიანდია.

ომის მოწინააღმდეგეთა გასამართლება.

ჰელსინგფორსი. 31 მაისი. ფინეთის სოციალისტურ პარტიის დატუსაღებულ მოღვაწეთა უმრავლესობას, რომელთა რიცხვში არის სეიმის რამდენიმე დეპუტატიც, ბრალდება წაუყენეს იმაში, რომ მათ კარელის ავანტიურის დროს მოწოდება გამოუშვეს, რომელშიაც ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოუწოდებდნენ ხალხს.

მკვდარი ბოლშევიკებსაც კი ეშინიათ.

ჰელსინგფორსი. 31 მაისი. აგრარიების გაზეთი „მააკანსა" მისალმება ცირკულიარს, რომლის მიხედვითაც აკრძალულია 1918 წ. წითელ აჯანყების მონაწილეთა ძმათა სასაფლაოზე მგლოვიარობა. ძმათა სასაფლაოზე აგებული ძეგლი ქალ. რახიმიაკში დაანგრიეს შავრაზმელებმა.

დ ა ნ ი ა

ყალბი ხმები.

კოპენჰაგენი. 30 მაისი. „კაშენხავი" ოფიციალურად უარყოფს ხმებს, თითქოს დანიის მთავრობა უარს ამბობდეს რუსეთ-დანიის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე.

რუსეთ-დანიის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

კოპენჰაგენი 31 მაისი. გაზ. „კობენხავნ"-ის მეთაურ წერილის მიხედვით, მთავრობა მომხრეა რუსეთთან ხელშეკრულების რატიფიკაციის, „პოლიტიკენ"-ი აღნიშნავს, რომ რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი ვერ გამოდგება რუსეთ-დანიის ხელშეკრულების საწინააღმდეგო არგუმენტად.

ნორვეგია.

ნორვეგიის მწარმოებელთა გრანდიოზული ლოკაუტი.

ქრისტიანია. 31 მაისი. მოლაპარაკება მრეწველთა გაფიცვასთან დაკავშირებით უშედეგოთ გათავდა. მწარმოებელთა კავშირმა მთელ რიგ წარმოებებში, რომელშიც 14.000 მუშა მუშაობს, ლოკაუტი გამოაცხადა.

ლატვია.

რწმუნებულობის სიგელის ჩაბარება.

რიგა. 30 მაისი. დღეს საზეიმო პირობებში რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში არალოვმა რწმუნებულობის სიგელი ჩააბარა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჩაკსტეს. სიგელის ჩაბარების დროს მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს. არალოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლიუციამ გაანთავისუფლა აგრეთვე ლატვიის ხალხიც საერთო ჩაგვრისაგან. რ. ს. ფ. ს. რ. მუშებსა და გლეხებს მეგობრული კავშირი სურთ ლატვიასთან. ჩაკსტემ აღნიშნა, რომ ლატვიას სურს კეთილი მეზობლის როლი შეასრულოს რუსეთის მიმართ.

წითელი რესპუბლიკები

რუსეთი

ქოლერასთან ბრძოლა.

რიაზანი. 31 მაისი. რიაზანის გუბერნიის მრავალ მაზრებში ქოლერა გაჩნდა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილია ტეხნიკური პერსონალი.

მუშათა დასასვენებელი სახლი მონასტერში.

არხანგელსკი. 31 მაისი. გუბერნიის პროფსაბჭომ მონასტერის შენობაში გახსნა მუშათა დასასვენებელი სახლი. შეჩნეულია მრავალი მუშების ჩამოსვლა დასასვენებლად.

გლეხები მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 31 მაისი. ყველა მაზრებში ტარდება უპარტიო გლეხთა კონფერენციები. კონფერენციებზე გამოტანილია რეზოლიუციები, რომლებშიც გლეხები ესალმებიან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებას.

მუშების კულტშეფობა სოფლებზე.

ორიოლი. 31 მაისი. მელითონეთა კავშირმა კულტშეფობა მიიღო ოლკანინოზე და მის მახლობლად მდებარე სოფლებზე.

ჩიჩერინის სახელობის გაზის ქარხანა.

გომელი. 31 მაისი. ადგილობრივ გაზის ქარხანას, რომელიც ექვსი წელი უმუშაოთ იდგა, მუშებმა დაადგინეს უწოდონ ჩიჩერინის სახელი. ჩიჩერინს დეპეშა გაეგზავნა თხოვნით მიიღოს შეფობა ამ ქარხანაზე.

წითელი დროშა რურის მუშებს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 31 მაისი. სორმოვოს მუშებმა, რიცხვით 6000 კაცმა, მოისმინეს რა საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულ ამხ. გოხლევის მოხსენება რურის მდგომარეობის შესახებ, დაადგინეს მუშათა სოლიდარობის ნიშნისათვის უძღვნან რურის მუშებს წითელი დროშა.

საზღვარ-გარეთ მიმავალთათვის ვალიუტის თავისუფლად გატანის ნებართვის მიცემა.

ხარკოვი. 1 ივნისი. სრულიად უკრაინის ცაკმა ნება დართო საზღვარ-გარეთ მიმავალთ თავისუფლად გაიტანონ საზღვარ-გარეთ ვალიუტა, კეთილშობილი ლითონები და სხვა 200 ოქროს მანეთის რაოდენობის თვითეულ პირზე; ოჯახის თვითეულ წევრებზე კი 100 მ. ოქროთი.

ბასმაჩების მეთაურის დატუსაღება.

ტაშკენტი. 31 მაისი. ტყვეთ იქნა ჩაგდებული ხურბაშა ტურაბეკოვი, ბასმაჩების ერთ-ერთი აქტიური მეთაურთაგანი, რომელიც ბასმაჩების უკანასკნელი განადგურების შემდეგ იმალებოდა.

ჩვენი პასუხი

„პრავდას" წერილი.

მოსკოვი. 2—6. ეხება რა ინგლისის მემორანდუმს, „პრავდა" სწერს: ინგლისის დიპლომატიური თავდასხმის გამო რუსეთზე, მეტად რთული მდგომარეობა შეიქნა. საჭიროა მთელ რიგ რთული და ერთმანეთის მოწინააღმდეგე ფაქტების მხედველობაში მიღება. ერთის მხრით ჩვენ გვაქვს შემდეგი ფაქტები: ამხ. ვოროვსკის მოკვლა, კერზონის დიპლომატიური თავდასხმა, ფოშის მოგზაურობა პოლონეთში და სხვა. ყველა ეს ფაქტები თითქოს მოწმობს ზოგიერთი სახელმწიფოების შეთქმულებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და დიდი ინტერვენციისათვის მზადებას. მაგრამ არის ამის წინააღმდეგი ფაქტებიც: ასეთია მაგალითად პუანკარეს მისაპატიებელი დეპეშა, ორიენტაცია ჩვენთან ვაჭრობისაკენ საფრანგეთის ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთების მხრივ, საფრანგეთის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში და სხვა.

ყველა ეს ფაქტები ლაპარაკობენ შეთანხმებული ინტერვენციის გეგმის წინააღმდეგ. ასეთი გეგმის გარეშე კი ყოველგვარი ინტერვენცია წინდაწინვე განწირულია. ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ინტერესების წინააღმდეგობა იმდენათ დიდია, რომ საერთო პოლიტიკის წარმოება თითქმის შეუძლებელია მათთვის. დღეს ავანტიურის წინააღმდეგ სასწორზე დაიდვა საერთაშორისო მუშათა კლასის წონა. ეს მუშათა მოძრაობა მიზნათ ისახავს საბჭოთა რუსეთის დახმარებას და მომავალი ომის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა „ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალის" თათბირი ბერლინში. თვით სოციალ-დემოკრატები შეაშინა საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის საფრთხემ.

აი რატომ არის საშიში პროვოკატორებისათვის ჩვენს წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის წარმოება. მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ თავდასხმისაგან. კერზონს და მის უკან მდგომ კონსერვატიულ ჯგუფებს, როგორც სჩანს, მაინც სურთ კავშირის გაწყვეტა, ჩვენ ერთი რამ დაგვრჩენია, უცადოთ — გაბედავენ თუ არა ისინი ამას — იმის შემდეგ, რაც ინგლისის მთელი ხალხი ამის წინააღმდეგ წავიდა. და თუ ისინი იმდენათ დაბრმავდებიან, რომ ომს დაიწყებენ, ადრე თუ გვიან მათ მაინც დამარცხება მოელის. თუ ისინი დაარღვევენ სავაჭრო ხელშეკრულებას და არ იომებენ (რაც ადვილი შესაძლებელია) ამით ისინი მოგების ნაწილს დაუთმობენ საფრანგეთს, დანიას, იტალიას და სხვა.

ერთსა და მეორე შემთხვევაში ინგლისის იმპერიალიზმი დაისჯება, რადგან შეუძლებელია დაუსჯელად ცეცხლთან თამაში, როგორც არა ერთხელ უთქვამთ რუსეთის მუშებს კერზონისათვის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ბერლინის მუშების საპროტესტო დემონსტრაცია ლანდტაგიდან კომუნისტების გამორიცხვის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის საოლქო ორგანიზაციამ აუკრძალა თავის წევრებს მონაწილეობის მიღება კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილ საპროტესტო დემონსტრაციაში, რომელიც მიმართული იყო პრუსიის ლანდტაგიდან კომუნისტების გამორიცხვის წინააღმდეგ, ამ დემონსტრაციაზე მოგროვდა დაახლოვებით 100,000 მუშა. ამ დემონსტრაციას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მუშა სოციალ-დემოკრატები კომპარტიასთან ერთად გამოდიოდნენ და პროტესტს აცხადებდნენ მათივე ლიდერების მუშაობის წინააღმდეგ და იზიარებდნენ მუშათა რაზმების და მუშათა მთავრობის შექმნისათვის ბრძოლის ლოზუნგებს.

ოპოზიციონურ რკინისგზელების გამარჯვება ბერლინში.

მემარცხენე ოპოზიციამ, რომელიც რკინისგზელთა კავშირის ბერლინის განყოფილებაში უფრო და უფრო მეტ გავლენას პოულობს და რომელმაც ამას წინად, კავშირის ცენტრალური გამგეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო უმეტესი ადგილი ბერლინის განყოფილებას ადგილობრივ გამგეობაში, ეხლაც მოიპოვა კიდევ ერთი გამარჯვება.

გზათა ბერლინის სამმართველოს რკინისგზის მუშების საბჭოს არჩევნების დროს, ოპოზიციამ მიიღო აბსოლიუტური უმეტესობა. მიცემული ხმები გაიყო ამგვარად: გირშ-დუნკეროვსკის კავშირის კანდიდატებმა მიიღეს — 3,789 ხმა, მოხელეების — 165, თავისუფალი კავშირის (რეფორმისტული) — 8,875, ოპოზიციის — 12,880, ნაციონალისტების 96.

ეკონომიური ცხოვრება

ოქროს მსოფლიო მარაგის განაწილება.

ომის შემდეგ ოქრო დაგროვდა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოქროს მარაგი ფედერაციის, ფედერალური ბანკის და მის სააგენტოების საწყობებში ავიდა 1,891 მ. დოლარამდე 1914 წ. 1 ივლისს, ხოლო 1922 წ. 1 დეკემბერს აღწევდა 3,909 მილიონამდე. ოქროს ამ რაოდენობის დასაგროვებლად საჭირო იყო მისი ამოწოვა თითქმის მთელი მსოფლიოსაგან. მაგრამ ამერიკის გარდა სხვა ნეიტრალურმა სახელმწიფოებმაც შესძლეს ოქროს მარაგის დაგროვება საგარეო ვაჭრობის წყალობით.

ცალკე სახელმწიფოების ნაციონალურ ბანკებში ოქროს მარაგი 1914 წ. 31 დეკემბრამდე ამ გვარად შეიცვალა (დოლარებში): ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს 828 მილ. მაგიერ აქვს 3,200 მილ.; ინგლისს 328 მაგიერ აქვს 752 მილ.; კანადას 168 მილ. მაგიერ აქვს 181 მილ. ისპანეთს 110 მ. მაგიერ აქვს 487; გოლანდიას 804 მილ. მაგიერ აქვს 233; შვეიცარიას 29 მაგიერ აქვს 73 მილ. არგენტინას 214 მილ. მაგიერ აქვს 45[illegible]; საფრანგეთს 803 მაგიერ აქვს 708 და გერმანიას 409 მაგიერ აქვს 229 მილ. დოლარი.

შეერთებულმა შტატებმა შესძლო მოეგროვებია ოქროს მსოფლიო მარაგის 33 პროცენტზე მეტი იმ 23 პროცენტთან შედარებით, რომელიც მას მოეპოვებოდა 1913 წ.

მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს ოქროს შემოსავალი შეერთებულ შტატებში მცირდება. 1922 წ. შეტანილია მხოლოდ 275 მილ. დოლარი, ხოლო, 1921 წელს კი შეტანილი იყო 621 მ. დოლარი. ამავე დროს ოქროს გაზიდვა რამოდენიმედ გადიდდა.

კანადის ბანკის ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ შეერთებული შტატების ოქროს დიდი მარაგი უწარმოებლად ინახება და შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება უცხოეთში დიდი წარმატებით.

მესოპოტამიაში. ამ დღეებში ინგლისის მთავრობამ ირაკის (მესოპოტამია) მეფე ფეისალთან დადვა ახალი ხელშეკრულება.

ძველი ხელშეკრულებით, რომელიც წარსული წლის ოქტომბერში დაიდვა, ინგლისის მთავრობამ თავს იდვა ირაკისათვის დახმარების გაწევა, როგორც რჩევით, ისე საქმით ოცი წლის განმავლობაში, უბრალოთ რომ ვთქვათ გამოაცხადა პროტექტორატი მესოპოტამიაზე.

ეს ხელშეკრულება არ იქნა დამტკიცებული. მაგრამ ინგლისს უამისოდაც ქონდა ნაციათა ლიგის მანდატი მესოპოტამიაზე. ახალი შეთანხმება სრულიად ცვლის მდგომარეობას: ამ ხელშეკრულების თანახმად წარსული წლის შეთანხმება გაუქმებულათ ჩაითვლება როგორც კი ირაკი შევა ნაციათა ლიგაში ან გავლის ოთხი წელი ოსმალეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ეს ხელშეკრულება ნიშნავს მესოპოტამიის ევაკუაციის აუცილებლობას. უკვე საარჩევნო კამპანიის დროს პრესა მოითხოვდა ირაკის ევაკუაციას. საქმე იმაშია, შესძლებს თუ არა მეფე ფეისალი, ინგლისის მომხრე, ირაკში მტკიცე მთავრობის მოწყობას.

მეცნიერება და ტექნიკა

აეროპლანი—მოტოციკლეტი.

ფრანგი ავიატორი ბარბო გადაფრინდა ლამანშზე მინიატიურულ აეროპლანით (დევუატინ კლერჟეს სისტემით). ეს ნიშნავს, რომ ახლოა დრო, როცა მოტოციკლეტი დაიპყრობს ჰაერს. მთელი საფრენი მანქანა იწონის 110 კილოგრამს (6,8 ფუთი), ბენზინის მარაგი უდრის 20 კილოგრამს, ორ ცილინდრიანი მატორი მიწაზე ავითარებს 15 ცხენის ძალას, ჰაერში კი—1500 მეტრის სიმაღლეზე—11 ცხენის ძალას. მთელი მანქანის სიგრძე უდრის 6,1 მეტრს, ფრთები—13,3 მეტრს, სიმაღლე—1,2 მეტრს, ზედაპირი—18 კვ. მეტრს. ამ საფრენი აპარატით სრუტეზე გადასაფრენათ სალამო დროს დასჭირდა 61 წუთი, უკან დასაბრუნებლათ კი 44 წუთი.

გადატრიალება საარტილერიო საქმეში.

ამას წინათ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, რომ გერმანიის მეცნიერებმა გამოიგონეს საშვალება შეაჩერონ ჰაერში აეროპლანის მოტორის მუშაობა და აიძულონ ის დაეშვას დაბლა.

როგორც სჩანს სამხედრო ტეხნიკა გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ.

გაზეთების ცნობით პრაგის უნივერსიტეტის ერთმა პროფესორმა გამოიგონა მანქანა, რომლის საშვალებით მოსახერხებელი ხდება მსროლელი ბატარეის მიმართულების გამორკვევა. ეს აპარატი, აგრეთვე, ავტომატიურად აღნიშნავს ადგილს, საიდანაც ყუმბარა გამოისროლეს.

თუ ეს ცნობა მართალია, მილიტარიზმის ტეხნიკას დასჭირდება ისეთი აპარატის გამოგონება, რომელიც შეაჩერებს ამ მანქანის მუშაობას.

დავესწროთ ქართველ უდინების

საღამოს.

კვირას, 3 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოება მართავს საქველმოქმედო საღამოს.

როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს პრესაში, ქართველ უდინებს, რომელნიც გადმოსახლდენ აზერბეიჯანიდან საქართველოში, განსაკუთრებულ ყურადღებით და თანაგრძნობით მოეკიდა საბჭოთა ხელისუფლება: მთავრობამ დაუთმო მათ საკმაო მიწები თელავის მაზრაში და აგრეთვე აღმოუჩინა დახმარება სამეურნეო ინვენტარით და გადმოსასახლებელი ტრანსპორტით. ეხლა ჯერი ჩვენზეა. ქართველ საზოგადოებას აქამდის არ შეუტანია თავისი წვლილი ამ დიდათ სიმპატიურ საქმეში. ქართველი უდინები, რომლებიც საუკუნოებით სცხოვრობდენ აზერბეიჯანში, იძულებული გახდენ მიეტოვებინათ თავიანთი გაშენებული მდიდარი მიწა-წყალი და გადმოსულიყვენ საქართველოში, თავის უფროს ძმებთან, რომლებთანაც მათ აკავშირებს სულიერად ისტორიული წარსული. ისინი გვიწვდიან ჩვენ ხელს დარწმუნებული იმაში, რომ ეს გამოწვდილი ხელი ჰაერში არ დარჩება.

ჩვენც გავიღოთ ჩვენი წვლილი, ვისაც როგორ შეგვიძლია და დავესწროთ აღნიშნულ საღამოს.

ყველა პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ საღამოს სასურველად ჩატარებას.

უდინთა დამხმარე საზოგადოების პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები

საქართველო

ბორჯომი

ბორჯომის ქიმიურ წარმოებაში.

მუშათა დავალიანების ლიკვიდაცია.

ბორჯომის ქიმიურ წარმოებაში მომუშავეთა ვალი უკვე გადაიხადა ახალმა სამეურნეო ორგანომ — საკურორტო სამმართველომ. მუშებმა მიიღეს სრულიად თავისი ხვედრი 15 მაისამდე ზოგი ფულად და ზოგიც მანუფაქტურითა და შაქრით.

ბორჯომის ქიმიურ წარმოების გაუმჯობესებისათვის.

ქიმიკოსთა კავშირმა მიიღო ზომები საქ. პროფ. კავ. საბჭოს, საქ. კომ. პარ. ცეკას საშვალებით ბორჯომის ქიმიური წარმოება შესაფერ სიმაღლეზე აიყვანოს.

ბორჯომის მუშათა საცხოვრებელი უბანი.

ბორჯომის მუშათა საცხოვრებელ უბნის მოსაწყობად და აღსადგენად მოეწყო სანიტარული კომისია, მაგრამ სამეურნეო ორგანოებისაგან ნივთიერი სახსრის მიუღებლობის გამო კომისიამ თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა. სანიტარული მდგომარეობა მუშათა უბნის არის ცუდი, ჯერ-ჯერობით მოუწესრიგებელია. საქმის დაჩქარებისა და წარმატებისათვის კომისიაში მოწვეულა იქნა საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი.

კოლლექტიური ხელშეკრულება საკურ. სამმართველოსთან.

ბორჯომის ქიმიკოსთა კავშირმა ხელი მოაწერა მუშა-მოსამსახურეთა და საკურორტო სამმართველოს შორის 1 ივლისამდე დადებულ კოლლექტიურ ხელშეკრულებას.

მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობის კურსები.

მიწად-მოქ. სახ. კომ. მეაბრეშუმეობის სადგურის შენობაში მიწა-ტყის მუშათა კავშირის ინიციატივით გაიხსნა მეაბრეშუმეობის ფუტკრეობის კურსები; მსმენელთა რაოდენობა ას კაცამდეა, რომელთაგან 80 კაცი ისმენს ლექციებს ორივე დარგზე მსმენელთა უმრავლესობა სოფლის მეურნენი და სტუდენტობა.

აჭარა.

ბანდიტთა ბრბოს განადგურება.

ბათომი. 1 ივნისი. გამოირკვა, რომ იმდღინდელ შეტაკების დროს შეპყრობილი ბანდიტები არიან ყოფილი მენშევიკები, სახალხო გვარდიელები, რომელთაც კავშირი ჰქონიათ მენშევიკებთან და ამზადებდნენ აჯანყებას გურიაში. ყველა დახოცილი და შეპყრობილი ბანდიტები აღმოჩნდნენ იმ ბრბოს მეთაურები, რომლებიც თარეშობდნენ გურიაში, ქობულეთში და აჭარისტანში.

სავაჭრო-სამრეწველო აღწერა.

ბათომი. 1 ივნისი. აჭარისტანის მთავრობის სტატისტიკურმა ბიურომ უკვე დაასრულა სიების შედგენა ბათომისა და მისი მიდამოების სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა. სულ ყოფილა სავაჭრო დაწესებულება 1390, სამრეწველო — 737, მექანიკურად ამოძრავებულ წარმოებათა რაოდენობა (არა ნაკლებ 10 მუშახელით) — 82; წვრილმანით მოვაჭრე ყოფილა 951.

აღწერის საქმე მთლად დასრულებულია. ამ მასალებს განიხილავს ტფილისის მთავარი სასტატისტიკო სამმართველო.

აზერბეიჯანი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 1 ივნისი. 26-იდან 28 მაისამდე ბაქოს ნავთის სასარეწაოებში ამოღებულია 1.943 000 ფუთი ნავთი.

ნაფტალინი.

ბაქო. 1 ივნისი. სინდიკატის ახლო-აღმოსავლეთის კანტორამ გამოუშვა გასაყიდად საუკეთესო ღირსების ნაფტალინი.

ცრუ კოოპერატივები.

ბაქო. 1 ივნისი. აზერბეიჯანის კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ კავშირიდან გამორიცხა მეღვინეთა 37 ამხანაგობა, რომელთაც არაფერი არ ქონიათ საერთო კოოპერაციასთან ამ ამხანაგებს წინადადება მიეცა სწყვიტონ კოოპერატივის ფირმის მოქმედება.

ჯვალგა.

ბაქო. 1 ივნისი. ყუბის მაზრაში ჯვალგამ ჰარნაჟული გადასწვა.

სომხეთი

მიმოსვლობა.

გერიუსი. 31 მაისი. ზანგეზურის მომთაბარენი მთებისაკენ დაიძრნენ.

დახმარება თესლით.

გერიუსი. 1 ივნისი. ზანგეზურის რაიონში თესლეულობის დარიგება მოთავდა. თესვის დაწყებისა და ხორბლეულობის მიწოდების გამო, მოსახლეობის აყრა-დაყრა და ლტოლვა შეწყდა.

სომხეთი სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

ერევანი. 1 ივნისი. გამოფენის კომიტეტი მოსკოვში ჰგზავნის მხატვარს ურიციანს სომხეთის განყოფილების მოსაწყობად, სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა მაისში.

აგიტაცია. საანგარიშო თვის განმავლობაში გატარებულ იქნა პირველი მაისის სადღესასწაულო კამპანია, რომელმაც ფართო სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო, მიუხედავად მრავალგვარი დეფექტებისა: საშინელი სიცხე, მეტად გაშლილი ადგილი და მხატვრული პროგრამის შეუსრულებლობა — დღესასწაული მაინც დიდი აღტაცებით ჩატარდა და გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მასში მონაწილეობა მიიღო თბილისის ყველა მშრომელებმა. ეს ძმური სოლიდარობის და ჩვენი ძალების გასინჯვის დღესასწაული იყო. პროლეტარიატმა უარი სთქვა ძველ უაზრო დღესასწაულებზე, მაგრამ ამ დღეს მხიარულების სურვილი გამოსთქვა და თავის დღესასწაულში ჩააქსოვა მთელი ის სიხარული, რომელიც მომავლის მქონე კლასს ეკუთვნის. მხოლოდ მეორე, კერზონის ნოტაზე საპასუხო კამპანიას ერთსულოვანი პროტესტის ხასიათი ჰქონდა და ისეთ ფორმებში ჩამოყალიბდა, რომელიც თბილისს ხშირად არ უნახავს. მთელი პროლეტარიატი ქუჩაზე გამოვიდა საპროტესტოდ, მან გაკიცხა ინგლისის ზრახვები და სოლიდარობის გრძნობები გამოსთქვა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ თავისი უფლებების დაცვის საქმეში. ყველა კამპანიები ტარდება ყოველთვის წითელ არმიასთან ერთად. პარტიის შიგნით გამართულ კამპანიებიდან საჭიროა აღნიშნულ იქნეს ყველა რაიკომებში გაკეთებული მოხსენებები რ. კ. პ. მე XII ყრილობის შესახებ, ყრილობის მონაწილეთა მიერ. უფერულად ჩაიარა პრესის დღის კამპანიამ. რაიონულ კლუბებში მოწყობილი იყო მოხსენებები.

პროპაგანდა. მაისში დამთავრდა მეცადინეობა მეორე რაიონის სკოლაში. გამოშვებულია 26 კაცი.

მუშაობენ მესამე რაიონის სკოლები (40 კაცი), მეცადინეობა დამთავრდება ივნისში, მეოთხე რაიონის სკოლა (40 კაცი) და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის სკოლა (30 კაცი).

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ფიქრობს პოლიტიკური ანბანის გასინჯვამდის, სკოლებში ახალი მიღება არ აწარმოოს.

მარქსისტული სკოლები ამ ჟამად 4, წინეთ 6 იყო, მაგრამ ორმა დროებით შესწყვიტა მუშაობა ლექტორების გამგზავრების გამო (მედვედევი და გალკინი); მუშაობენ სკოლის ჰასაკამდე ახალგაზრდობის (15—18 კ.), ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის (25) და სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტობის (40 კ.) წრეები.

პოლიტიკური წრეები: 1-ლ რაიონში—3, მე-2-ში—14, მე-3-ში—13, მე-4-ში—27. სულ 57 წრ. დამთავრებულია— 7.

მეცადინეობა სწარმოებს დაუბრკოლებლად, მაგრამ ყველგან თანაბარად წარმატებით კი არა, მომზადებულ ლექტორთა უყოლობის გამო; თუმცა საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ 70 პროც. სრულიად ნორმალურად მუშაობს.

გამომცემლობა: მაისის განმავლობაში გამოიცა: კრებული „მენშევიზმის გახრწნა"—6000 ცალი რუსულსა და ქართულ ენაზე, „ეროვნული საკითხი" ქართულ ენაზე — 3000 ცალი, სტალინის სიტყვა მე-12 ყრილობაზე რუსულად — 2000 ცალი, ყრილობის რეზოლიუციები სიტყვებით

რუსულ ენაზე—26,000 ცალი, იგივე იბეჭდება ქართულ ენაზე—2000 ც. კერზონის ნოტის შესახებ ფურცლები—8000 ცალი რუსულად, ქართულად და სომხურად. აგიტატორის ფურცლები რუსულ ენაზე ორი ნომერი—10,000 ცალი, და ქართულ ენაზე—ერთი ნომერი—10,000 ცალი.

მოსკოვიდან მიღებულია: სხვა და სხვა წიგნი—368 ცალი, ცენტრალური კომიტეტიდან—200-დე წიგნი რუსული, ქართულს და თურქულ ენაზე მე-3 უბნისათვის; სომხურს ენაზე მე-2 და მე-8 უბნისათვის—65 მან. ღირებული (ჩერვონცებად) 100 წიგნამდე. მიღებულია „წითელი წიგნისაგან“ ქართულს ენაზე კრებული წერილებისა ეროვნულ საკითხზე სტალინისა—500 ცალი.

მუშაობა მაზრაში: მაზრაში ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ გეგმა შეწონილ მუშაობას, თუმცა მუშაობა თანდათან კალაპოტში დგება. პირველ მაისის დღესასწაული ყველგან სასურველად ჩატარდა.

კერზონის ნოტის გამო, დაიგზავნა ცირკულიარი და შესაფერი ლიტერატურა და წინადადება მიეცა ჩაეტარებინათ კამპანია საკუთარის ძალებით. ცნობაა მიღებული პრიუტიდან, მანგლისიდან, გარე-კახეთიდან, რომ ყველგან მოეწყვიათ. მასსიური კრებები და საგიტ-საპროპ. განყ. აქვს რეზოლიუციები. ყველა რაიონებში დაიგზავნა ფურცლები, გაზეთები, ტეზისები.

თათბირი: გაზეთებში აღძრულ კამპანიის გამო უჯრედების მუშაობის შესახებ, მოწვეული იყო ადგილობრივ ამხანაგთა თათბირი.

გამართა ორი თათბირი სარაიონო სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ხელმძღვანელთა, ორი თათბირი პოლიტიკური განათლების განყოფილების მოღვაწეობაზე და, ბოლოს, ანტი-რელიგიურ პროპაგანდის საკითხის გამო შედგენილი იყო კომისია, რომელიც უკვე ორჯელ შეიკრიბა და გამოიმუშავა მთელი წყება ანტი-სარწმუნოებრივი ქადაგებისა და აგიტაციისთვის საწარმოებლად გარკვეული გეგმა.

ამასთანავე, ივნისში განზრახულ პოლიტცოდნის შესამოწმებლად სწარმოებდა წინასწარი მუშაობა. ამავე საგნისათვის ბაქოს კომიტეტისაგან მივიღეთ მასალები (ინსტრუქციები, კითხვა-პასუხის ფურცლები და სხვა) და ამ საქმის შესამზადებლად მიღებულია მთელი რიგი სხვა და სხვა ზომებისა.

მ. ესხენი.

მისაბაძი მაგალითი.

წალკის რაიონში, სოფ. ბარმაქსიზში საქართველოს გასაბჭოებამდე რამოდენიმე ამხანაგები ჩუმად მუშაობდენ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ; საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ საქართველოში ისინი უფრო ინტენსიურად, დაულალავად ეწევიან მუშაობას დღე და ღამ მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ერთ ასეთ პასუხისმგებელ მუშაკის კირიაკ ეფრემოვის დაულალავმა მუშაობამ შურის გრძნობა აღუძრა უპარტიოებს, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ეფრემოვი ამას სჩადის მხოლოდ თავის გამოსაჩენადო. საკმარისია მის ინტერესებს ვინმე შეეხოს, რომ მან გამოაჩინოს თავისი ნამდვილი ბუნება. შემთხვევა გამოჩნდა გამოვლენილა ეფრემოვი, როგორც კომუნისტი და და საზოგადო მოღვაწე. სოფელში საზოგადო აბანოს მომწყობ კომისიას დასჭირდა შესაფერი შენობების გამონახვა. დასახელებულ ქ. ეფრემოვს ჰქონდა შესაფერი შენობა მდინარე ხრამის ნაპირზე. კომისიამ თხოვნით მიმართა მას მიეყიდა მისთვის ეს შენობა. „შენობის გაყიდვა არ შემიძლია, მაგრამ მშრომელთა კეთილდღეობისათვის სიამოვნებით შევწირავ მასო“—უპასუხა ამხ. ეფრემოვმა. რატომ არ უნდა შეწიროს თუ ის ზედმეტია, იკითხავენ მკითხველები რომ ასეთ კითხვას ადგილი არ ჰქონდეს, მე ვაცხადებ: ამხ. ეფრემოვი სცხოვრობს თავის ძმასთან გაუყოფელად, ორივე ცოლშვილიანია, ყავთ 11 სული ოჯახში და მოთავსებული არიან პატარა თავლაში, სადაც ერთის მხრივ საქონელი იმყოფება და მეორეს მხრივ ადამიანები. ამის მეტი მას არაფერი არა აქვს. მშრომელებისათვის უკანასკნელი სახლის შეწირვა და თვითონ სარდაფში დარჩენა—შეუძლია მხოლოდ ნამდვილ კომუნისტს.

ასეთი ამხანაგებით ჩვენ უშიშრად წავალთ ცეცხლშიცა და წყალშიც.

იოანიძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(2 ივნისი)

ჩერვონცები —11,300 ათასი.

გირვან. სტერ. —13,000 ათასი

დოლარი —3,150 ათასი

ოსმალ. ლირა —2,075 ათასი.

საბჭ. ფულ. ნიშნ.—19.75 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი

(2 ივნისი)

(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—7 მ. 35 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 67 კ.; ვერცხლი 84 სინჯის—14 კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—37 კ.

ვალიუტის ბაზრის მიმოხილვა.

(2 ივნისი).

ვალიუტის კურსი მტკიცეა. აწევის ტენდენცია არ ემჩნევა. მოთხოვნილება ვალიუტაზე საკმაოა, უმთავრესად სტერლინგებზე, დოლარებზე და ჩერვონცებზე.

—

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატმა ტფილისში მიმდინარე წლის აპრილიდან გახსნა თავისი განყოფილება, რომელიც აერთებს რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ყველა ტრესტებს. აქ შედის ბამბეულის, შალეულობის, სელის, აბრეშუმის, ტრიკოს და სხვა ქსოვილთა წარმოებანი.

ეს არის უმთავრესი განყოფილება რუსეთის საფეიქრო წარმოებისა ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიაში, ტფილისის განყოფილების გარდა, სინდიკატს აქვს განყოფილებანი აგრეთვე ბაქოსა და ერევანში.

ფართლეულობის მიწოდებას გასაადვილებლად, ამიერ-კავკასიის მშრომელი მოსახლეობისათვის, ტფილისის განყოფილება ყოველს ღონისძიებას ხმარობს კავშირი იქონიოს სახელმწიფო ორგანოებთან, საქართველოსა და სომხეთის კოოპერატივებთან, რომელთაც ფართლეულობას შეღავათიან ფასად უთმობს.

ამ ჟამად განყოფილების გამგედ დანიშნულია გიორგი ზოსიმეს ძე სუსლოვი, რომელსაც დავალებული აქვს სინდიკატის საქმე ამ მხრივ გააფართოვოს.

სინდიკატის განყოფილებას აქვს დიდძალი ნაირ-ნაირი ფართლეულობა, ბამბის ქსოვილები, შალეული, მაუდი, აბრეშუმის ქსოვილები, ამიერ-კავკასიაში უფრო მიღებულ და გავრცელებულ ფერისა და სახისა.

განყოფილებაში იშოვება აგრეთვე ბამბა და ძაფეულობა.

სინდიკატი სცდილობს მჭიდრო კავშირი გააბას სპარსეთის ბაზართან რასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ექნება.

სინდიკატმა უკვე გახსნა ჩრდილოეთ სპარსეთის ქალაქ რეშტში თავისი განყოფილება, ხოლო ამ დღეებში ასეთი განყოფილება თეირანშიაც გაიხსნება.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

გაზაფხულის თესვის კამპანია.

1. დუშეთის მაზრა.

თესვის კამპანია დამთავრდა. მოთხოვნილება სათეს მასალაზე დაკმაყოფილებული იქნა სავსებით. სათესი სივრცე წარსულ წელთან შედარებით გადიდებულია 6000 დესეტინამდი. ეს გადიდება უმთავრესად გამოიწვეულია ყოფილი საფონდო მიწების გადაცემით გლეხობისათვის და ნაწილობრივ საძოვარი ადგილების დამუშავებით. ამ წელს რამდენიმეთ გადიდდა სიმინდით დათესილი სივრცე. სიმინდის ნათესების სივრცის გადიდებას ხელი შეუწყო სარწყავი არხების გაყვანამ და აგრეთვე სიმინდის ახალი ჯიშის შემოღებამ, რომელიც იტანს სიცხეს და ამიტომ ძლიერ მოეწონა გლეხობას.

მთელ მაზრაში შემოდგომის და გაზაფხულის ნათესების მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. თუ მომავალშიც კლიმატიურმა პირობებმა ხელი შეუწყო, მოსალოდნელია საშუალო მოსავალი, ზოგიერთ ადგილებში კი საშუალოზე მაღალი. სიმინდის ნათესებს მთელ მაზრაში კარგი პირი უჩანს. სეტყვა არ ყოფილა.

ახალციხის მაზრა.

გაზაფხულის თესვის კამპანია დამთავრდა. აქაც ისე, როგორც სხვა მაზრებში მოთხოვნილება სათეს მასალაზე სავსებით იქნა დაკმაყოფილებული. დაუთესავი ადგილები არ დარჩენილა პირიქით, 1922 წელთან შედარებით, ნათესების სივრცე 10—15 პროცენტით გადიდდა. სიმინდის ნათესების სივრცე შემცირდა შემოდგომის ნათესების სივრცის გაფართოების გამო, ზამთარი, თუმცა უთოვლო იყო, მაგრამ საგრძნობი ზიანი არ მიუყენებია შემოდგომის ნათესებისათვის. საერთოდ კლიმატიური პირობები ხელს უწყობენ ნათესებს, მხოლოდ მაისში მტკვარის ადიდების გამო სრულიად დაილუპა 500 დესეტინა ნათესი. სეტყვა არ ყოფილა.

ნათესების მდგომარეობა, როგორც ხორბლეულის, ისე ქართოფილის, საშუალოზე უკეთესია. გლეხები კმაყოფილი არიან ნათესების მდგომარეობით და კარგ მოსავალს მოელიან.

თიანეთის მაზრა.

გაზაფხულის ხორბლეულის თესვა დამთავრდა. სიმინდის თესვა ჯერჯერობით გრძელდება. მოთხოვნილება სათესლე მასალაზე სავსებით დაკმაყოფილებულია. დაუთესავი ადგილი არ დარჩება 1922 წელთან შედარებით ნათესების სივრცე გაიზარდა 3—5 პროცენტით.

კლიმატიური პირობები ხელს უწყობენ ნათესებს. სეტყვა არ ყოფილა.

მთელ მაზრაში ნათესების მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. გლეხები კმაყოფილი არიან ნათესების მდგომარეობით.

გ. ეეეცი.

ცენტროკავშირის მუშაობა

საექსპორტო-საიმპორტო დარგში.

მთავარ როლს ცენტროკავშირის ექსპორტის საქმეში თამაშობს ნედლი მასალა. 1923 წ. პირველი მეოთხედის განმავლობაში ცენტროკავშირმა გაგზავნა საზღვარგარეთ 4,4 მილ. ოქროს მანეთის ღირებულების ნედლი მასალა, როგორიც: ბეწვეული, თმები, ჯაგარი, ძაფები და სხვა. ამას გარდა მოსკოვში ერთ საზღვარგარეთელ ფირმისათვის მიყიდული იქნა 215 ათას ოქროს მანეთის ღირებულების ნედლი მასალა. ცენტროკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ექსპორტისათვის კვერცხების დამზადებას. კვერცხების ექსპორტისათვის ფულს იძლევა სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკი, რომელმაც ამ საქმისათვის გადასდო 7.500 ჩერვონეცი. სულ განზრახულია 150—400 ვაგონი კვერცხების დამზადება ბაზრის მდგომარეობის მიხედვით. მზადდება ხიზილალას ექსპორტის ორგანიზაცია.

განზრახულია ექსპორტისათვის ცენტროკავშირის მიერ დამზადებული სატყეო მასალა და საწამლო ბალახები. საექსპორტო საქონლის დამზადებაში დიდ როლს თამაშობს კოოპერაცია. დამზადებისათვის ცენტროკავშირი იძლევა ავანს დასამზადებელ საქონლის საერთო რაოდენობის 15—20 პროც. ანგარიშით, დამამზადებელ ორგანოებმა ავანსი უნდა დაფარონ 3 კვირიდან 3 თვემდის ვადის განმავლობაში.

საიმპორტო საქონელთა რიცხვში შესამჩნევი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ავტომობილებს, საკოლონიო საქონელს, საძირე ტყავს, ჩაისა და სხვას. მიმდინარე წელში საზღვარგარეთიდან განზრახულია სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა, ტრაქტორებისა და წვრილი ინვენტარის შემოტანა დაახლოვებით 1,1 მილ. ოქროს მანეთის ღირებულებისა.

კოოპერაცია

ცეკავშირი.

ცეკავშირის 1-ლი საწარმოო დაწესებულებანი. „ცეკავშირის“ წარმოებათა განყოფილების განკარგულებაში არის შვიდი სამრეწველო დაწესებულება: გორის საკონსერვო ქარხანა, აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, ძეხვის ქარხანა, სამექანიკო სახელოსნო, სტამბა, თიხის ჭურჭლის ქარხანა, საპნის ქარხანა.

ამათში განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია გორის საკონსერვო ქარხანა, რომელსაც თავისი მოწყობილობით და წარმოების ბარაქიანობით პირველი ადგილი უჭირავს კავკასიაში. ეს ქარხანა იმ ვარაუდითაა მოწყობილი, რომ ყოველწლიურათ უნდა დაამუშაოს 50 ათასი ფუთი ნედლი ხილეულობა და ბოსტნეული და 10 ათასი ფუთი ჩირეულობა. განზრახულია, ამ ქარხანასთანვე მოაწყონ ტყლაპისა და მაშარაბის დამზადება და აგრეთვე სპირტის გამოხდაც.

აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, შეძენილია წელს, თებერვალში და ჯერ რიგიანად ვერ არის ამოძრავებული, რადგანაც ჯერ არა ჰყავს სპეციალისტი, რომელთა ჩამოსვლასაც რუსეთიდან მოელიან. ამ ქარხანამ, ვარაუდით, წელიწადში უნდა დაამზადოს 75,000 არშინი ქსოვილი.

ჭურჭლის ქარხანას მიზნად აქვს დასახული დამზადება, როგორც სუფრისა ისე სამზარეულო ჭურჭლეულისა აგრეთვე თამარიშისაც (ალიბასტრი). ეს ქარხანა ეხლა მექანიკური მამოძრავებელით მუშაობს. არსებითად შეკეთებულია ქარხნის შენობა. ამ ქარხანაში 15 კაცია შტატით.

ძეხვის ქარხანა. საუცხოვოთ არის მოწყობილი და დიდათ ბარაქიანათაც მუშაობს, რის გამოც ეს ქარხანა მომგებიანათ ითვლება.

სტამბა წინად ზარალს იძლეოდა, ეხლა კი მოგებაზე გადავიდა. აქ მუშაობს 15 კაცი.

ბორჩალოს მაზრა.

სარვანის რაიონი წარმოადგენს ადმინისტრატიულად დიდ რაიონს, სადაც ექვსი თემი (30 სოფლით) შედის. ამ რაიონში მცხოვრებნი ყველა მუსულმანებია და მისდევენ ყველანი მენახირეობას. სიტყვა „კოოპერაცია“ იქ თითქმის 90 პროც. უცხო სიტყვას ნიშნავს და გაუგებარია. მაგრამ მაინც დიდათ თანაუგრძნობენ კოოპერატივების დაარსებას. ჩვენ გავსწიეთ აგიტაცია იმის შესახებ თუ როგორი მნიშვნელობა აქვს კოოპერატივების არსებობას მუშა ხალხისთვის. ორი დღის განმავლობაში სარვანის რაიონში იქმნა მოკრებილი 250 მილ. საწევრო ფული.

სარვანის რაიონში დაარსდა უკვე ერთიანი მომხ. საზოგადოება; მასთან ერთა დაარსდა ექვსი მათი განყოფილება.

აშაგა-სერალის რაიონი ამ ზემოაღნიშნულ რაიონზე უფრო დიდია. აქაც დაარსდა მომხ. საზოგადოება განყოფილებებით.

სადახლოს რაიონის მცხოვრებნი მუსულმანები და ბერძნებია და იგივე მენახირეობას მისდევენ. აქაც დაარსდა უკვე მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივი 6 განყოფილებით. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ აქ ცოტა გულ-გრილად ხედებიან კოოპერატიულ მშენებლობას; ეჭვში არიან იმიტომ, რომ მენშევიკური მთავრობის დროს კოოპერატივი არსებობდა ამ რაიონის ერთ-ერთ თემში, რომელიც ყველაზედ უფრო დიდ თემს წარმოადგენს, მაგრამ „კარგი“ გამგეობის წყალობით ის გამქრალა და ხალხიც დაშინებულია.

გაუმარჯოს ახლად დაარსებულ მთლიან სამომხმარებლო კოოპერატივებს და მათ გამგეობებს და ვუსურვოთ, რომ დაიმსახურონ საზოგადოებაში კარგი სახელი.

ქ. კოპალეიშვილი.

პროფკავშირებში

მედიკო-სანიტ. მუშ. კავშირში.

მედ. სანიტ. ვეტერინარულ მუშათა ყრილობა.

მედ-სანიტარული მუშათა კავშირი 15 ივნისისთვის ტფილისში იწვევს საქართველოს ვეტერინარულ მუშათა ყრილობას. ყრილობის პროგრამა შეიცავს მოხსენებებს ვეტერინარულ ლაბარატორიისას ეპიზოტიის (ცხოველთა გადამდები სნეულება) და სხვა საქონლის ავადმყოფობათა შესახებ. აგრეთვე წაკითხული იქნება მოხსენებები საორგანიზაციო, სატარიფო საკითხები, და ვეტერინარის უფლებამოვალეობაზე მოსმენილ იქნება კავშირის, ჯანსახკომის ვეტერგანყოფილების ანგარიშები და მათი მომავალი მუშაობის გეგმა. დასასრულ მოხდება არჩევნები კავშირის ფედერ. სექციისა და სარევიზიო კომისიისათვის.

გერმანულ ლაზარეთის თხოვნა.

გერმანულ ლაზარეთის მუშა-მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს საქ. მედ-სანიტ. მუშაკთა კავშირის წინაშე, რათა ისინიც ჩარიცხულ იქნენ კავშირის წევრებად.

ქიმიკოსთა კავშირში.

კულტმუშაობა.

ქიმიკოსთა კავშირის კულტგანყოფილებამ ქიმიური წარმოების მუშებისათვის მოაწყო ლექციები საერთოსაგანმანათლებლო, სანიტარულ და ანტისარწმუნოებრივ საკითხებზე. აგრეთვე გაიხსნა სამკითხველოები მარქსის სახელობის საპნის ქარხანაში თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოების ინსტიტუტთან.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

კულტ-განყოფილებამ წერაკითხვის უცოდინარობის საქმეში დიდ შედეგებს მიაღწია: ტფილისში 114 წერაკითხვის უცოდინარ წევრთაგან 102 უკვე დაასრულა საანბანო კურსი.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

თეატრი ბავშვებისთვის.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შუამდგომლობით მიმართა სახ. განათლების სოციალურ აღზრდის განყოფილებას, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშათა რაიონებს და მოაწყოს იქ ბავშვთა თეატრები.

ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში.

ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის კლუბში არსებობს შემდეგი სექციები: დრამატიული ქართულ-რუსული, მომღერალთა ქართული გუნდი, სამხედრო ორკესტრი და მანდოლინისტების ორკესტრი.

ფიზიკური კულტურა.

კულტგანყოფილების კოლეგიამ დაადგინა: გაზაფხულის განმავლობაში გააცხოველოს მუშაობა ფიზიკურ კულტურის დარგში.

სტიპენდიები.

სამეურნეო ორგანოებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ზოგიერთმა კავშირებმა შეიტანეს ცალკე მუხლი, რომლის ძალითაც კავშირს უფლება ეძლევა დაუნიშნოს სტიპენდია და გაგზავნოს კავშირის წევრები უმაღლეს სასწავლებელში.

ქვემო-ავჭალის კლუბი.

კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტი აწარმოებს ქვემო-ავჭალის კლუბის სახლის აშენებას. მცირეოდენად საქმეს აფერხებს თანხის უქონლობა. რაიკომმა თხოვნით მიმართა კულტგანყოფილებას, რომ მან დახმარება გაუწიოს ხსენებულ ორგანიზაციას.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

კომუნალური ბანკი.

კომუნალურ მეურნეობის კავშირმა განიზრახა დაარსოს კომუნალური ბანკი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს სამეურნეო ორგანოებს სესხის მიცემის სახით.

ცეცხლის მქრობელი რაზმი.

კავშირთან დაარსებულ ცეცხლის მქრობელ რაზმის პროფკურსები დაამთავრა კურსი 20 კაცმა. ამ რიგად რაზმი დღეს შევსებულია სპეციალურ პირებით.

გორის ელსადგური.

დიდი მუშაობა და ძალღონე დახარჯა კავშირმა გორის ელსადგურის პროექტის გამოსამუშავებლად. პროექტი უკვე დამუშავებულია და კავშირი უკვე შეუდგა ამ დიდ საქმის განხორციელებას.

ბორჯომის და აბასთუმნის სადგურები.

ბორჯომის და აბასთუმანის ელექტრონული სადგურები გადავიდა კომუნალურ მეურნეობის კავშირის გამგებლობის ქვეშ.

მიწით სარგებლობის შესახებ.

კავშირმა გამოიმუშავა პროექტი ქალაქებში მიწით სარგებლობის შესახებ.

აგარაკი ბავშვთათვის.

კავშირმა დაადგინა: მიმდინარე ზაფხულს კოჯორში გახსნას აგარაკი ბავშვებისთვის. ქ. ალმასკომის საბინაო სამეურნეო კავშირს დაუთმო ყოფილი ფილდშერების აგარაკი. აგარაკზე დაახლოვებით 200-მდე ბავშვი გაიგზავნება.

ქრონიკა

საჰაერო ფოსტა

პირველ ივნისს გაიხსნა საჰაერო ფოსტა მოსკოვ-ხარკოვ-როსტოვ-ნოვოროსიისკ-ბათომ-თბილისის ხაზზე. მოსკოვიდან ფოსტის გამოგზავნა თბილისში მოხდება კვირაში ორჯერ ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 7 საათზე, თბილისში მოვა სამშაბათობით და პარასკევობით 18 საათზე. საჰაერო ფოსტით გაიგზავნება ყოველგვარი სხვა კორესპონდენცია, რომელიც იგზავნება თვითმფრინავის დანიშნულების ადგილის და მის მახლობლად მდებარე პუნქტების მისამართით, განსაკუთრებული დამატებითი გადასახადის გარეშე. ხოლო უბრალო, დაზღვეულ კორესპონდენციაზე, გარდა ბანდეროლებისა 40 გრ. ზევით და ფოსტით გადაზავნაზე—დაწესებულია დამატებითი გადასახადი საჰაერო ფოსტით გადაგზავნისათვის 200,000 მ. თვითეულ გადაგზავნაზე.

სახ. კომისართა საბჭოში.

— **ნაქერალის მთაზე სამგზავრო გზის გაყვანა.** სახალხო კომისართა საბჭომ, რაჭის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად, დაადგინა გაიღოს 10 მილიარდი მან. ნაქერალის მთაზე სამგზავრო გზის გასაყვანათ.

— **დამბების გაკეთება.** კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა და სახ. სამეურნეო კომ. არსებულ კომისიას გადასცა განსახილველად გურიის მცხოვრებთა შუამდგომლობა შემოქმედის და ფიჩხობის წყლის ნაპირების გასამაგრებლად საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **დახმარება ბანდიტებთან დაღუპულ ამხანაგების ოჯახებს.** სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპულ ამხ. სანიკიძის ოჯახს დაენიშნა ყოველ თვიური დახმარების სახით 15 მან. ოქროთი.

ქალაქის აღმასკომში

— **შეშის დამზადება.** საგარეჯოს რაიონის სკოლების საჭიროებისათვის შეშის დასამზადებლად, პრეზიდიუმის დადგენილებით გადაიდო—103 მილიონი 500 ათასი მანეთი.

— **ავტომობილების სადგომ გარაჟების აღრიცხვა.** პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამმართველოს განყოფილებას, დაუყოვნებლივ მოახდინოს ქალაქში ყველა გარაჟების აღრიცხვა და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **შეშლილთა საავადმყოფო.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა არჩეული იქნეს შერეული კომისია, რომელსაც დაევალოს შეშლილთა საავადმყოფოს გადატანა სურამიდან სხვა ადგილას.

სხვა და სხვა.

— **გრძელვადიანი სესხის მიმცემი ბანკი.** ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა შეიმუშავა წესდება უძრავ ქონებაზე გრძელვადიანი სესხის მიმცემი ბანკის (საიპოტეკო) დასაარსებლად ტფილისში.

— **დახმარება ინვალიდებს.** დამშეულთა მთავარ კომიტეტმა გადასცა ინვალიდების კავშირს, თავის წევრებს შორის გასანაწილებლად 200 ფუთი პურის ფქვილი, 1,775 არშინი ფართლეული, შეკერილი ტანისაცმელები და 93,579,000 მანეთი ფულად.

გამოცემები.

— **საფინანსო უწყება.** 15 ივნისიდან გამოვა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ორკვირეული ორგანო „ამიერ-კავკასიის საფინანსო უწყება“ ოფიციალური განყოფილებით.

— **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ალ. წერეთლის შრომა ევროპის პირველი ცივილიზაცია: „კრეტის-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა“.

შრომის ბირჟაში.

— **საექიმო დახმარება უმუშევრებს.** შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევრებს, რომლებიც არ არიან დაზღვეულნი, ამბულატორიიდან საექიმო დახმარების მიღებისათვის უნდა ჰქონდეთ უმუშევრობის წიგნაკი, აღნიშვნით—რომ ის არ არის დაზღვეული. იმ უმუშევრებს კი, რომლებსაც ესაჭიროება საავადმყოფოში მოთავსება უნდა მიმართონ ჯანმრთელობის განყოფილებას.

— **უმუშევრები.** 1 ივნისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 253, აქედან: ქალი—58, კაცი—195. ამავე დღეს ჩაეწერა ახალი უმუშევრები—101. გაიგზავნა სამუშაოზე—79, აქედან: ქალი—15, კაცი—64.

ხელოვნება

ხუთშაბათი, 31 მაისი. მსახიობ პლ. კორიშელის ბენეფისი. „უნიადაგონი“ პიესა 4 მოქ. შ. შალიკაშვილის.

ქართული თეატრის ნიჭიერმა მსახიობმა პლ. კორიშელმა თავის საბენეფისოდ დადგა ვალ. შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი“ (ანუ „არამზადები“).

პიესა დაწერილია რევოლიუციამდე და მასში დახურათებულია ქართველი ბრწყინვალე წოდების და „მაღალი“ ინტელიგენციის ყოფაცხოვრება.

ოთხი მოქმედების მანძილზე ჩვენს თვალწინ მიდის ქართველი თავადის პატრიარქალური ოჯახის ცხოვრება და მისი დანგრევა ახალის ნიავის შემოჭრით.

ჩვენს თვალწინ სდგას „საზოგადო მოღვაწე“ თავადი, რომელიც ქრთამებითა და სხვა და სხვა მახინაციებით სცდილობს საზოგადო მოღვაწის კარიერის გაკეთებას. როგორც ყველა თავადები, ისიც გულღია და დიდი გაქანების სტუმართმოყვარული მასპინძელია. ამისათვის კი ხარჯებია საჭირო: ხარჯები კი ჯერ იწირავს თავადის მამა-პაპისეულ მამულს და შემდეგ სინდისზეც ხელს აღებინებს მას. აქ იწყება გლეხების შეუბრალებელი ყვლეფა და ქრთამების აღება, რომელიც ბოლოს და ბოლოს საბედისწერო როლს ითამაშებს თავადი ალექსანდრეს ოჯახის ცხოვრებაში. თავადი ალექსანდრეს ოჯახი ყალბ საფუძველზეა აგებული. თუმცა აქ თავი მოუყრიათ უსაქმო და მოქეიფე ადამიანებს, მაგრამ ამ ოჯახშიც ჩნდება ერთი ახალგაზრდა კაცი (ზურა), რომელიც, როდესაც გაიგებს, რომ მამა მისი ალექსანდრე მექრთამეა, ვეღარ მოითმენს და მიატოვებს ამ მოშხამულ ბუდეს. აქედან უკვე თავად ალექსანდრეს ოჯახს წყალი უდგება და მისი რღვევა ლოღიკურ დასასრულამდე მიდის; ალექსანდრეს ცოლი დარიკო სატრფოს წაართმევს თავისივე ქალიშვილს რუსიას, მიატოვებს ოჯახს და მას გაჰყვება. დედისაგან და სატრფოსაგან მიტოვებული რუსია ვეღარ იტანს ტანჯვას და თავს იშამლავს. ის ხალხი, რომელიც ქრთამის აღებაში ალექსანდრეს მარჯვენა ხელი იყვნენ (ნესტორი და პავლე), როცა გაიგებენ, რომ ალექსანდრეს ხიფათი მოელის, თავის დროზე გაიქცევიან და თავს უშველიან.

ასე დაირღვა ქართული ფეოდალური ოჯახის იდილია, ასე ტრაგიულად ჩაქრა იმ საზოგადო მოღვაწის კერა, რომელიც „ზუთხითა და ზურგილებით“ სცდილობდა საზოგადოების ნდობისა და სიმპატიების დამსახურებას. ავტორს ნათლად აქვს გადმოცემული მაშინდელი საზოგადოების ფუქსავატი ცხოვრება და რეალურ ფერებით აქვს დახატული ამ ცხოვრების ყოველი უბრალო დეტალი.

პიესა სინამდვილის პატარა ნაგლეჯია და როგორც ასეთი მხატვრულის მხრივ იგი მოისუსტებს. პიესაში ბევრია იმერული ქარგონი.

შესრულების მხრივ პიესა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ხშირათ თქმულა, რომ ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული პიესების განსახიერებაში ქართველი მსახიობები შეუდარებელნი არიან. ამ საღამოსაც ყოველი მათგანი თავის ადგილას იყო და პიესაც შედარებით მთლიანად მიმდინარეობდა, მხოლოდ კიდევ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ როლის უცოდინარობის გამო ხშირი წაბორძიკება და უადგილო ადგილას შეჩერება ანელებდა შთაბეჭდილებას.

გაიძვერა იმერლის ნესტორის კარგი სურათი მოგვცა მობენეფისე პლ. კორიშელმა. მსახიობის თავისუფალი მოქმედება სცენაზე და ძალდაუტანებელი კილო სწორეთ რომ შეეფერებოდა ნესტორის როლს. კორიშელი უთუოდ შეგნებული მსახიობია ქართულ სცენაზე: მას ბევრი ისეთი ტიპები აქვს განსახიერებული, რომელიც მხოლოდ მის სახელთანაა დაკავშირებული და ნესტორის როლიც საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მის რეპერტუარში.

ჩვენ გვახსოვს ამ როლში განსვენებული ვალ. შალიკაშვილი (პიესის ავტორი) და მის შემდეგ, მე მგონია, კორიშელზე უკეთეს ამსრულებელს ვერ იშოვის ეს როლი.

დავ. ჩხეიძე (ალექსანდრე) უფრო კარგი იქნებოდა, რომ უფრო თავისუფლათ ეჭიროს თავი სცენაზე: პირველ მოქმედებაში, მაგალითად, მისი მიხვრა-მოხვრა და მოქმედება მეტად გაუბედავი იყო, მშვენიერი იყო მსახიობის გრიმი.

ტიპიური იყვენ ალ. ქორქოლიანი (დიტო) და აკ. ვასაძე (პავლე). შესაფერი ტაქტითა და გრძნობით ჩაატარეს თავისი როლები, აგრეთვე ც. ამირეჯიბმა (დარიკო), გ. დავითაშვილმა (გრიშა) და [illegible] (ელენე), თუმცა ხანდახან ენა ებორძიკებოდათ.

ჩვენ ამ საღამოს წარმოდგენაში საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შ. ლორთქიფანიძე, რომელმაც შესაფერი გრძნობითა და ტემპერამენტით ჩაატარა თავისი როლი (ზურა), მსახიობმა თავიდანვე ალღო აუღო როლს და ბოლომდი გამართულად წაიყვანა ის.

ნაზი და მოხიბლველ იყო ელისა ქიქოძე რუსიას როლში. მსახიობი განიცდიდა რუსიას ტრაგიკულ მდგომარეობას და მისმა მგრძნობიარემ და შეგნებულმა თამაშმა ბევრს ცრემლები მოაყენა თვალებზე.

ნამდვილი გადია იყო ბელანიშვილის ქალი.

კარგი იყო უშ. ჩხეიძე (რედაქტორი).

საწყენაროთ წარმოდგენას ცოტა საზოგადოება დაესწრო.

შ. შპ.—ლი.

—

— **კინემატოგრაფიული ლენტის გადაღება.** გუშინ ქალაქში იღებდენ სურათებს კინემატოგრაფიული ლენტისთვის „წითელი ეშმაკი“.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება მსახიობ რ. ჯიბილას საღამო. წარმოდგენილი იქნება ტრ. რამიშვილის პიესა „სტუმარ-მასპინძლობა“.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სახელმწიფო ოპერაში ქართველ [illegible] სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „გრაფ ლიუქსემბურგი“ საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **ქ. გამსახურდიას საღამო.** შაბათს, 5 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება კონ. გამსახურდიას საღამო ფართე პროგრამით.

— **სახ. ოპერის თეატრის მუშათა იუბილე.** დღეს, სახ. ოპერის თეატრში, დღის 12 საათზე გაიმართება ამავე თეატრის მუშების იუბილე, რომლებიც 25—50 წელიწადია მუშაობენ აღნიშნულ თეატრში.

— **საზაფხულო თეატრები აგარაკებზე.** უკვე მოეწყო მსახიობთა ამხანაგობანი [illegible] შემდეგ აგარაკებზე: [illegible] წაღვერში, ბორჯომში და მანგლისში. წარმოდგენების მართვა დაიწყება 15 ივნისიდან.

— **სურათების გამოფენა.** დღეს სომეხ ხელოვანთა სასახლეში „აიარტუნის“ დარბაზში გაიხსნება ქართველ და სომეხ ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ დავით ჩხეიძის საბენეფისოდ.

— **სამხატვრო ინსტიტუტი.** ამიერ-კავკასიის ცალკე არმიის კლუბთან დაარსდა სამხატვრო ინსტიტუტი სამხატვრო, საქანდაკო, სახაზავი და სხვა განყოფილებებით.

ბიბლიოგრაფია

მომავალი № 5 (12).

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

საქართველოს კომკავშირის ცეკამ უკანასკნელ დროს გააფართოვა თავისი გამომცემლობა, ღირსებითაც გააუმჯობესა იგი. ყოველ შემთხვევაში მისი ყოველთვიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მომავალი“ თანდათან უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობით.

„მომავალის“ მეხუთე ნომერი იმდენად მდიდარ, მრავალფეროვან მასალას შეიცავს, იმდენი საყურადღებო წერილებია პოლიტიკურ ლიტერატურული და სამეცნიერო ხასიათის, რომ მას სიამოვნებით წაიკითხავს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ რევოლიუციის ძველი გვარდიაც. ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ძველი რევოლიუციონერ—კომუნისტებიც, რომლებიც თავის რევოლიუციონურ მოღვაწეობიდან ათავსებენ ცნობებს და მით ხელს უწყობენ საქართველოს მდიდარ რევოლიუციონური წარსულის გაშუქებას, რასაც აგრეთვე აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ნორჩი თაობისათვის. უპარტიო ცნობილი ლიტერატორების თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად აცხოველებს ინტერესს ჟურნალისადმი და მაღლა სწევს მის მხატვრულ ლიტერატურულ ღირსებას. ჟურნალის მეხუთე ნომერი იწყება დავ-გონის შინაარსიანი წერილით „მე-12 ყრილობა და ჩვენი ამოცანები“. ამხ. კ. ცინცაძის „რევოლიუციონური წარსული“ მეტად საყურადღებო, ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულ ცნობებს იძლევა 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ. ჟურნალის ამ ნომერში ავტორი როგორც აქტიური მონაწილე აშუქებს შორაპნის მაზრის მშრომელთა თავგანწირულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1905 წელში. ამხ. ს. თალაკვაძე „საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსულიდან“ თვით რევოლიუციის მონაწილეთა პირადი და წერილობითი ცნობებით არკვევს საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის მდიდარ, ჯერ კიდევ დაუწერელ ისტორიას.

ამხ. კოსალი ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით აშუქებს „რელიგიის ფაქტის შესაძლებლობას, არსებობას და წარმოშობას“. შემდეგ მიდის ამხ. შ. დუდუჩავას წერილი „ფილოსოფიური მიმართულებანი რუსულ მარქსიზმში“.

ჟურნალის სალიტერატურო ნაწილი მშვენიერად არის წარმოდგენილი. საყურადღებოა ვ. ბარნოვის „ხალხური პოეზია ამირანი (მონოგრაფია)“, ა. მაშაშვილის „აჯანყება“, ევგ. ბაკურაძის კრიტიკული წერილი „ეგნატე ნინოშვილი“, შ. რადიანის „ფუტურიზმი“, კ. სამოილოვის „კასპიის ფლოტის წარსულიდან, 1920 წლის 18 მაისი (ენზელის ოპერაციის სამი წლის გამო)“ და სხვა.

ლიტერატურულ განყოფილების შემდეგ არის განყოფილებები: საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი, სპორტი, მეცნიერება და ტეხნიკა, დასასრულ მსოფლიოს ეკონომიური ვითარება.

ყველა ეს განყოფილებები საუკეთესო გონებრივ საზრდოს აწვდიან ახალგაზრდობას და კარგათ არიან შერჩეული.

ჟურნალში მშვენიერი სურათებია: „კომკავშირი სამეურნეო ფრონტზე“. ჟურნალი შეიცავს 88 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 250,000 მანეთი, რაც დიდი არ არის. ჟურნალის დიდი ღირსება მისი ფართო გავრცელების იმედს იძლევა.

გ.

„ნიანგი“ № 1.

პოლიტ-განყოფილების მთავარ გამგეობამ 3 ივნისს გამოუშვა იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. უკანასკნელ დროს ჩვენში მეტად გაფართოვდა გამომცემლობა როგორც წიგნების ისე ჟურნალ-გაზეთების, მაგრამ იუმორისტული ჟურნალი კი დღემდე არ გამოდიოდა, რაც არ შეიძლება ნაკლად არ ჩაითვალოს.

[illegible] მოსწრებულ იუმორს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და მას დიდი როლის შესრულება შეუძლია საბჭოთა პრესის საერთო საპასუხისმგებლო მუშაობაში.

იუმორისტული ჟურნალის გამოცემა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ყველას არ აქვს შეთვისებული ცოცხალი იუმორი. „ნიანგის“ პირველი ნომერი ამ მხრივ სრულებით ამართლებს იმედებს და საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს. როგორც სურათები და ჟურნალის მხატვრული მხარე, ისე თვით მისი შინაარსი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ჟურნალი ღირს 250.000 მანეთი. რაც დღევანდელი კურსის მიხედვით დიდათ არ ჩაითვლება.

ი.

პროვინციაში

შორაპნის მაზრა.

რამოდენიმე თვის უკან შორაპნის მაზრაში ხშირი იყო ყაჩაღთა თარეში. ყაჩაღები დიდათ აწუხებდნენ გლეხობას, მენშევიკებს უნდოდათ ესარგებლათ არევ-დარევით და ამ არევ-დარევაში მოეწყოთ თავიანთი ორგანიზაციები. მენშევიკებს მოლოდინის კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. გლეხობამ ზურგი შეაქცია მათ, გასცა მათი საიდუმლოებანი და მთელი რიგი ყაჩაღებისა, როგორიც იყვნენ აშხნელი, აბაშიძე და ქუმბურიძე, გლეხების დახმარებით მილიციამ მოკლა, დანარჩენები კი გლეხების მიერ იქნა დატუსაღებულნი და ჩაბარებულნი ადმინისტრაციაზე. გეგმა მენშევიკების მუშაობისა ჩაიშალა. მაზრაში ნორმალურად მიდის, როგორც ეკონომიური, აგრეთვე კულტურული მუშაობა; ყველგან სიწყნარეა. მენშევიკების არაფერი არ სჩანს.

ანქანი

რაჭა

ლორდ-კერზონის ნოტამ და ამხ. ვოროვსკის მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენშიც. ამის მაჩვენებელი იყო დემონსტრაცია თბილისში და მიტინგები სოფლად, რომლის მშრომელნი ენერგიულად გამოეხმაურენ ქალაქის მუშებს. საყურადღებოა რომ ინგლისის ნოტამ მადა გაუღვიძა შავი რეაქციის მოლიქულებს მენშევიკური პარტიიდან. გლეხებში აქა იქ გაუვრცელებიათ ხმები, რომ რუსეთში და საქართველოში უკვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების აღსასრული. ჟორდანიას მთავრობა უკვე სტამბოლს მოადგა ინგლისის ჯარებთან ერთად და ცხაკაიას და მახარაძის მთავრობა თბილისიდან უკვე გარბისო.

კვირას 27 მაისს ქვემო რაჭის რაიონის და ლეჩხუმის მაზრის ჭრებალოს რაიონის მშრომელმა გლეხობამ, მიტინგზე რომელსაც დაესწრო ხუთი ათას კაცამდე, მოისმინა მოხსენება საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა თბილისიდან ჩამოსული ამხ. დათიკო ნასარიძის ვრცელი მოხსენება საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ინგლისის მთავრობის ნოტასა და შვეიცარიაში თეთრგვარდიელების მიერ რუსეთის სრულ-უფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის ვერაგულად მოკვლასთან დაკავშირებით დავადგინეთ: ღრმეს ზიზღს და პროტესტს ვუცხადებთ ანტანტის იმპერიალისტურ ყაჩაღებს ამხ. ვოროვსკის ავაზაკურათ მოკვლისათვის და ლორდ კერზონის ნოტის გამო.

ქვემო რაჭის და ლეჩხუმის მაზრის რაიონების მშრომელი გლეხობა მთელი ქვეყნის გასაგონათ აცხადებს, რომ მას არ სურს არავიზე თავდასხმა, მას არ სურს ინგლისის პროლეტარიატთან, და მშრომელ გლეხობასთან არავითარი უთანხმოება, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას მათთან გასაყოფი არაფერი აქვთ, არამედ მათ ასულდგმულებს ურთიერთშორის ამხანაგური— და ძმური ერთობის გრძნობა. ჩვენ გვსურს იმპერიალისტებისა და მათ ლაქიების სოციალ შოვინისტების მიერ დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი აყვავება პატიოსანი შრომით, რაც ჩვენს უმთავრეს ამოცანას შეადგენს დღეს. მიუხედავათ ამისა, თუ ინგლისის შავი მთავრობა ჩვენ მაინც მოგვახვევს თავზე იძულებით ომს და მოინდომებს ვერაგულ თავდასხმას, მაშინ ის დაინახავს, რომ საბჭოთა დიდი ფედერაცია და კერძოთ საბჭოთა საქართველო არ არის რურის ოლქი, რომელიც ყაჩაღურათ საფრანგეთის ბანკირების პუანკარეს მთავრობამ ძალით დაიჭირა. საბჭოთა დიდი კავ-

მუშათა ცხოვრება

დღეს, 3 ივნისს, დილის 10 საათზე გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე დანიშნულია ჩვენი თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება. ამხ. მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

ნუღარ გამკიცხავთ, თუ ვერ ვსწერ კარგად!

ნუღარ გამკიცხავთ, თუ ვერ ვსწერ კარგად,
და არ მაქვს სიტყვა „კაზმული-ბრტყელი“!.
მე გავიზარდე მშრომელთ ბანაკში
არა ვარ ბრძენი და მჭევრმეტყველი.
ტანჯვა, წვალებით ვაბამ ასოებს;—
ხელს მიშლის ხშირად ათასი დარდი
მე „ქარაგმებით“ ვერ მოვრთავ ლექსებს...
მე ფუფუნებით არ ვარ ნაზარდი.

უბრალო სიტყვით გესაუბრებით,
შრომის ჩანგურით უბრალოდ ვმღერი:
მე ოქროს კერპებს არა ვსცემ თაყვანს
და მიყვარს მუშურად ჩაგრული ერი.
უპირდაპირებ ერთმანეთს სიტყვებს,
ვაბამ, ვაერთებ მე სუსტ სიმებსა,
რაც ძალა შემწევს, მიყვარს და ვეტრფი
ჩაქუჩ-ნამგალსა, შრომის შვილებსა.

მე ვინც მიყვარდა დაბადებიდგან,
ვისთვისაც მწარე ცრემლები ვღვარე,
ვისთვისაც ვზიდე რკინის ბორკილი
და ვისთვის ვნახე ცოცხლად სამარე,
იმათ უგალობს ეს ჩემი ჩანგი,
[illegible] მოვქარგავ იმათ რვეულებს,
მათ მტრებს მიუძღვნი ზიზღსა და კრულვას
და შევაჩვენებ ქვეყნად წყეულებს.

მუშა გახო როინიშვილი.

ორთა-ჭალის აფთიაქის დახურვის გამო.

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ეს რამოდენიმე კვირაა, გვესმის, თითქოს ორთა-ჭალის საბჭოთა № 20 აფთიაქს დახურვას უპირებენო. ჩვენთვის ლენინის სახელობის საბჭოთა 1 ტყავ. ქარხნის მუშებისათვის, სრულიად მოულოდნელი იყო ეს ცნობა, რომლის ჭეშმარიტებაც არ გვჯეროდა. მაგრამ ხმები გამართლდა და 1 ივნისიდან აფთიაქი დაიხურა. ჩვენ, საბჭოთა ქარხნის მუშებს, ვერ გაგვიგია, რითი ხელმძღვანელობდა ჯან. სახ. კომი, როცა აფთიაქს ჰხურავდა. ორთა-ჭალის ახლო მიდამოებში ხსენებულ აფთიაქის გარდა, სხვა არ მოიპოვება, ქალაქის სხვა აფთიაქები ამ უბნიდან ძალიან დაშორებულია. ეს გარემოება კი მუშას მეტად ცუდ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს.. აფთიაქის სიშორე მას საშვალებას წაართმევს წამლით თავის დროზე ისარგებლოს. ამას გარდა, მას ბევრი დროც დაეხარჯება მისთვის, რომ წამალი მიიღოს. ქალაქში წასასვლელად და უკან გამოსაბრუნებლად 2 საათი მაინც არის საჭირო, რიგში დგომა, წამლის შეკვეთა და ლოდინი, სანამ წამალი დამზადდებოდეს, მუშას, სულ მცირე რომ ვსთქვათ სამ საათს წაართმევს.

მუშათა და მოქალაქეთა რაოდენობა ორთაჭალაში 5,000 სულს მიაღწევს, რაც აფთიაქის არსებობის გასამართლებლად საკმაოდ უნდა ჩაითვალოს. ორთა-ჭალის მუშები მოვითხოვთ არავითარ შემთხვევაში აფთიაქი არ დაიხუროს. ყოველივე დაწესებულება და მათ შორის აფთიაქიც უნდა არსებობდეს მუშისათვის იქ, სადაც მას უხდება მძიმე და მწარე მუშაობა.

მუშა ცოციანოვი.

როგორ არ უნდა ხდებოდეს კურორტებზე

ზაფხული კარზედ მოგვადგა თავისი სიცხე პაპანაქებითა და სათანადო ორგანიზაციებიც დაემზადნენ, რათა შრომისაგან დაქანცული მუშა-მოსამსახურეებს აღმოუჩინონ დახმარება. დახმარება ეძლევათ აგრეთვე ავადმყოფებს. მუშათა მთავრობა და პროფესიონალური კავშირები ეხმარებიან მაქსიმალური შესაძლებლობით ამხ. ამხ. მუშებსაც ჩვენგან მუშებისგან მოითხოვს მეტს სერიოზულობას შეგნებულად ამ დახმარების გამოყენებას, ეხლა მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა შარშანდელ კურორტებზედ მოგზაურობის უსისტემობის შესახებ, რათა წლეულსაც არ განმეორდეს იგი. კურორტებზე წამსვლელთ მატარებელი დანიშნულ ადგილას დაგვხვდა და ჩვენც ენერგიულად შეუდექით ადგილების დაჭერას, მაგრამ მატარებელში შესვლისას მგზავრებს არავინ უსინჯავდა სასანიტარო ფურცლებს, რის გამო მატარებელში ბევრი ისეთი პირები მოხვდნენ, რომელთაც არც კი ეკუთვნოდათ უფასოდ მოგზაურობა. ასეთივე უსისტემობა ხდებოდა ბორჯომიდან აბასთუმანამდე-ავტომობილებზედ, რითაც ავადმყოფები სივიწროვის გამო დიდად სწუხდებოდნენ. იმედია, ამ მოვლენას წლეულს ექნება მიქცეული სერიოზული ყურადღება. და ავადმყოფთა გაგზავნას მიეცემა უფრო ნორმალური სახე და წესრიგი. არ შეიძლება ერთ მოვლენასაც არ მიექცეს აქ ყურადღება. მე ვამბობ ზოგიერთ ავადმყოფების საქციელზე. მოგეხსენებათ, რომ საქართველო კურორტებით და თავისი მინერალური წყლებით ერთ უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენს და განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას აბასთუმანზედ მაგრამ, სამწუხაროდ, შარშან ზოგიერთი ავადმყოფის გასართობ საგანს წარმოადგენდა დანებით ხელში „ტროსტებისა“ და ჯოხების ჭრა და საერთოთ ხეების გაფუჭება. საჭიროა, ამის წინააღმდეგ საკურორტო სამმართველომ მიიღოს წინდაწინვე ზომები ამხ. ამხ. ავადმყოფებს ურჩევთ, რომ არ წაჰბაძონ დაუშვებელ ბარბაროსობაში შარშანდელ უმადურ მოაგარაკეებს.

მუშა—მკერვალი ნიკო.

თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატ“-ის მუშათა საერთო კრება.

26 მაისს—შესდგა ხსენებულ ქარხანაში მუშათა საერთო კრება. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ფაბკომის ოთხი თვის მუშაობა, 2) ოქროს მომგებიანი სახელმწიფო სესხის შესახებ და 3) მიმდინარე მომენტი; პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხანაგი ეკატერინა მიხაილოვისა, რომელმაც ნათლად და გარკვევით განუმარტა მუშებს ფაბკომის ნაყოფიერი მუშაობა. ფაბრკომის მუშაობა ერთხმად მოიწონა კრებამ.

მეორე საკითხზე მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ვრდოიანი, რომელმაც აუხსნა მუშებს ოქროს მომგებიანი სახელმწიფო სესხის მნიშვნელობა, როგორც მუშებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის.

მუშებმა გამოსთქვეს სურვილი, აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმეში, შემდეგ გამოვიდა მოწოდებით კომკავშირის წევრი ამხ. რეხმანი, (წარმომადგენელი სპარტაკელებისა) და მოკლედ გააცნო მუშებს, თუ რამდენად სასარგებლო და აუცილებელია მუშათა ბავშვებისათვის სპარტაკელების ჯგუფში ჩაწერა და რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ფიზიკურ ვარჯიშობას მათი ჯანმრთელობისათვის, მასთან მან მოუწოდა მუშებს, რომ მათ თავიანთი ბავშვები ჩაეწერონ დაუყოვნებლივ სპარტ. ჯგუფში ეს წინადადებაც სიამოვნებით იქნა მიღებული მუშების მიერ, რომელთაც სიტყვაც მისცეს მას, რომ ვისაც კი ჰყავს (შესაფერისი წლოვანების) ბავშვები, აუცილებლად ჩასწერონ სპარტაკელების ჯგუფში, დასასრულ ამხ. ოგანოვმა წამოაყენა კრების წინაშე ერთი საყურადღებო წინადადება. საქმე შემდეგშია: ჩვენი ქარხნის-მუშებისათვის ყოველ დღე პურს ეზიდებიან მთლიან მუშათა კოოპერატივიდან, მთლიანი მუშათა კოოპერატივი კი თავის წევრებს ოთხ თვეში ერთხელ მათ მიერ ნაყიდი საქონლის მიხედვით აძლევს დივიდენდის სახით პროცენტებს და აი ასეთი პროცენტები დაახლოვებით თითო მუშას ერგებოდა კოოპერატივისგან არა ნაკლებ ოთხას ათასი მანეთისა. ეს პროცენტები ამხ. ოგანოვის წინადადებით მუშებს უნდა გადაეცათ ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა სასარგებლოდ. ამხ. ოგანოვის წინადადება მუშების მიერ დიდის აღტაცებით იქნა მიღებული.

მუშა ალ. ბ—შვილი.

მუშათა ქრონიკა

წმ. ნიკოლოზის ეკლესია კლუბის და ბიბლიოთეკისათვის.

— 28 მაისს არსენალის მუშების კრებამ გააუქმა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, სადაც მათი დადგენილებით ეწყობა კლუბი და ბიბლიოთეკა, განზრახულია აგრეთვე კინოს მოწყობა და სხვადასხვა რევოლიუციონური პიესების დადგმა.

— **მუშების უფლებებში აღდგენა.** მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ნავთლუღის დღიურად მომუშავე მუშები, რომლებიც ეკონომიაში ორ თვეზე მეტს მუშაობენ, უფლებებით მუდმივ მუშა-მოსამსახურეებს გაუთანასწორონ.

— **სადილი უმუშევარ მცირე წლოვანებისათვის** შრომის ბირჟასთან არსებულ ახალგაზრდობის სექციას უმუშევართა სასადილოში დაეთმო 50 სადილი—უმუშევარ ბავშთათვის.

— **დახმარება ინვალიდებს ა.-კავკასიის მომხ. საზოგად.** დასახიჩრებულ მეომართა სასარგებლოდ გადასდო 5 ჩერვონეცი და აპატია მთელი ვალი ინვალიდთა კოოპერატივს.

შრომის ექსპლოატატორები

მე-4 რაიონის შრომის ინსპექტორმა შრომის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა და პირველად გააფრთხილა შემდეგი კერძო მწარმოებელნი და ვაჭრები:

— **არზრუმანოვი ხიხაკი (სადალაქოს პატრონი, ლადო დუმბაძის ქუჩა)** რომელთანაც მუშაობდა 1 მოზარდი შრომის გარეშე მიღებული, რომელიც დაზღვეული არ აღმოჩნდა. ინსპექტორისაგან არზუმანოვს წინადადება მიეცა ანგარიში გაუსწოროს მას და მის ნაცვლად მოითხოვოს ბირჟიდან უმუშევარი, რომელიც უნდა დააზღვიოს.

— **ტემირხანოვი არამი (ტანთსაცმელების სამკერვალო ლადო დუმბაძის ქ.)** იმის გამო, რომ მცირე წლოვანი მუშა დაზღვეული არ ჰყავდა. ტემირხანოვს წინადადება მიეცა ერთი კვირის განმავლობაში ბავშვი დააზღვიოს.

— **მეტრეველი გიორგი (სასადილოს პატრონი (19 თებერვლის ქ. № 60)** იმის გამო, რომ ადგილკომის მოთხოვნაზე, რათა მას სასადილოში მომუშავე მცირე-წლოვანი კავშირში ჩაეწერა, უარი განაცხადა და მეორე დღეს ბავშვი დაითხოვა. ბავშვი მუშაობდა 4 თვის განმავლობაში არ ყოფილა დაზღვეული.

— **სახელმწ. რკინის მაღაზიის გამგე შერმაზანოვი ტიგრანი (პუშკ. ქ. № 29)**, რომელსაც მაღაზიაში არ ქონდა მუშებისათვის საანგარიშო წიგნაკები შემოღებული და შრომის დაცვის შესახებ მომქმედი დადგენილებანი, წესები და სახ. შრ. კომ. დადგენილებით შემოღებული წიგნები, რომელთა შეძენის წინადადება მიეცა შრ. ინსპექტორის მიერ.

— **ჩიტჩიანცი არუთუნი (ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი, (ოქრომჭედლების ქ. № 43)** იმის გამო, რომ მას არ ჰყავდა დაზღვეული სახელოსნოში მომუშავე ორი ხელოსანი, რომელთაც არც საანგარიშო წიგნაკები აღმოჩნდათ. წინადადება მიეცა ყოველივე ეს გამოსწორებული იქნას სულ ახლო მომავალში.

— **კობერიძე იასონი მშრომელი არტელის პურის საცხობის გამგე,** იმის გამო, რომ პურის საცხობში მომუშავე 77 ხელოსანის დასაზღვევი ფული არ ჰქონია შეტანილი. მასთან მუშებს არ აღმოაჩნდათ საანგარიშო წიგნაკებიც.

დადგენილება № 98.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ტფილისში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ქ. ტფილისში „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა“.

2. ბიბლიოთეკას საფუძვლად დაედვას საქართველოს მუზეუმთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა და ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი.

3. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა დაექვემდებაროს განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობას.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალ. გეგეჭკორი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 99.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ლიკვიდაციის შესახებ

რადგანაც დასახიჩრებულ მეომართა გაერთიანების საკავშირო ფორმა სრულიად არ შეესაბამება ომის ინვალიდთა გაერთიანების ახალ ფორმას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაშლილად გამოცხადდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. დასახიჩრებულ მეომართა კავშირი და ყოველგვარი მანდატი, მოწმობა და სხვა საბუთი, კავშირის მიერ წარსულში გაცემული გაუქმებულად ჩაითვალოს.

2. დასახიჩრებულ მეომართა კავშირის მთელი ქონება (უძრავ-მოძრავი) როგორც სახელმწიფოს კუთვნილება,—საბჭოთა ხელისუფლების მიერ კავშირისათვის გადაცემული მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, გადავიდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და განკარგულებაში.

3. ომის ინვალიდთათვის, რომელთაც მთლად არ დაჰკარგვიათ შრომის უნარიანობა და ესა თუ ის ხელობა იციან, მათივე შრომით თვით-უზრუნველყოფისათვის, დაუყოვნებლივ მოეწყოს შრომის საწარმოო არტელები ომის ინვალიდთაგან და ამისთვის გამოყენებულ იქნეს დასახიჩრებულ მეომართა ყოფილი კავშირის ყველა სახელოსნო.

4. ომის ინვალიდთა მთლად უზრუნველყოფის საქმის ორგანიზაცია დამყარებულ იქნეს საქართველოს სოციალისტურ საბჭ. რესპ. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში.

5. დასახიჩრებულ მეომართა ყოფილი კავშირისაგან ქონების მისაღებად შესდგეს სპეციალური კომისია სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისა ამ. კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულის (საქართველოში) წარმომადგენლის მონაწილეობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ხომერიკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.

შენაწუობის ღირებულება ა.-წ. 1-ლ ივნისისათვის. ა | ქ. შრომის სახ. კომისარიატიდან.

თანახმად ა. | ქ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. | წ. 17 მაისის, № 52 დადგენილებისა, ა. | ქ. შრ. სახ. კომ. საქართ. რწმუნ. სამმართველოსთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ შენაწუობის ღირებულება არის ათ მანეთში—(ცენტრალურ შრომის სტატისტიკის და სახელმწიფო გეგმის რ. ს. ფ. ს. რ.—ს. ს. რ. საქართველოსათვის მიღებულ საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით) განისაზღვრება პირველ ივნისისათვის 22,898,000 მანეთით.

საქონლის მანეთის ღირებულება ამავე დროისათვის განისაზღვროს 2.290 000.

ა. | ქ. შრომის სახ. კომ. საქ. რწმუნებულის მაგიერ ა. მიქაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, რომ 4 ივნისს, კავშირის ერთიან დღეს, განხილულ იქნება საკითხი რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობისა, და აგრეთვე დამუშავდეს ცირკულიარი № 80, რომლითაც მყარდება ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების შეფობა შინამრეწველობის წარმოებებზე.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის ტფილისის კომიტეტის მდივანი: ლომიძე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 უბნის კომიტეტი წინადადებას აძლევს მე-3 უბნის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც ჯერ არიან აღრიცხვაზე აყვანილნი საგანგებო დანიშნულების ნაწილში, აუცილებლად გამოცხადდნენ ორშაბათს, 4 ივნისს ნაშუადღევს 4 საათიდან 7 საათამდე—მესამე უბნის კომიტეტის ბინაზე, ანკეტის შესავსებად. ვინც არ გამოცხადდება, არ მიეცემა სააღრიცხვო ბარათი

მდივნის მაგიერ: ესაიანი.

პროფესიონალური.

— განათლების მუშაკთა სახლში ორშაბათს, 4 ივნისს, სალამოს 7 საათზე—ფიზიკო-მათემატიკურ ქვე-სექციაში მოხსენება ს. ზ. ლომიძისა: 1) „არითმეტიკის სწავლების გამოცდა სოფლის სკოლაში საკუთარი გამოგონების საშახსოვო ხელსაწყოთა შემწეობით“. 2) ვ. ნ. ვალშევსკისა: „ფიზიკის პროგრამა შრომის სკოლაში“.

— შაბათს, 9 ივნისს, სალამოს 7 საათზე—ხრისტოლიუბოვის მოხსენება: „მასწავლებელთა მომზადება და ხელმეორე მომზადება“.

— ხუთშაბათს, ივნისის 7, სალამოს 7 საათზე—მოხსენება კალანტაროვისა—დეფექტურ ბავშვებზე მუშაობის შესახებ.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

განცხადებები

მხატვარის
ალექსანდრე პავლეს ძე პიტახიას
ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 3 ივნისს, სალამოს 5 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა).
749 1—1

სოფიო (გოგოლა) მიხეილის ასული, შვილები მიშა და ალიოშა ბოკერიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენების მამა
სამსონ გიორგის ძე
ბოკერიას
პანაშვიდი შაბათს, 7 საათზე ქვაშვეთის ტაძარში. გამოსვენება ამავე ტაძრიდან ნიკოლოზის სასაფლაოზე კვირას, წირვის შემდეგ.
748 1—1

რუსთაველის
თეატრი
კრ. 486—1—1

დღეს, 3 ივნისს,
დავით ჩხეიძის ბენეფისი
პირველად ქართულ სცენაზე
სამანიშვილის
დედინაცვალი
დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილებას
ა. წ. 4 ივნისიდან
გადააქვს
თავისი სამმართველო კრუზენშტერნის ქ. № 4-დან
რუსთაველის პროსპექტზე № 27, ყოფილი „ევროპიული ნომრები“.
435 5—2

საქ. საბჭოთა და პარტიულ პრესის ცენტრალურ
კანტორისაგან
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5-43.
დღეს გამოვიდა და იყიდება ახალი ყოველკვირეული
იუმორისტული ჟურნალი ქართულ ენაზე
„ნიანგი“ № 1
ფასი 250.000 მან.
მოითხოვეთ ყველა მეგაზეთეებთან და რკინის გზის კიოსკებში როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.
2—1
ცენტრ. კონტორა.

ქ. ტფილისის
სახალხო მოსამართლის 1 და 2 რაიონების
სასამართლოს აღმასრულებელი
მოქ. მ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ 1923 წ. ივნისის თვის 7-დან ყოველ დღე, გარდა უქმე და კვირა დღეებისა დილის 9 საათიდან მის მიერ იქნება მოხდენილი „სოსიფროსის“ მაღაზიაში გოლოვინის პრ., სახლი № 10

საჯარო ვაჭრობა
ფირმა „სოსიფროსის“ მოძრავი ქონებისა.

გაიყიდება ელექტრონის ლამპოჩკები, გუპერის შნური, პატრონები, აბაჟურების დასაჭერი და სხვა ელექტრონული მასალები, მედიცინის კლიონკა, ლილა, კაკაო, დუბილნი ექსტრაქტი, აზბესტის კარდონი, კუჯის გასაწმენდი ზეთი, ბოტები, პალტოები, შინელები, ტუჟურკები, ბატინკები, საზეინკლო ხელსაწყობები, ავტომობილების სახურავები და კამერები, ხორცის კონსერვები, პრობკები და სხვა და სხვა საქონელი, რკინის კასა, საწერი მაგიდები, საწერი და საკერავი მანქანები და სხვა კანტორის ინვენტარი და მასალები.

აღნიშნული ქონება აწერილია დასაფარავად საერბო ჯარიმისა ჯამით 259.283 მან. ოქროთი, რომლითაც დაჯარიმებულია „სოსიფროსი“ ფირმა სახალხო მოსამართლის ქ. ბათომის 1 უბნის დადგენილებით ა. წ. 23 მარტის № 473 აღმასრ. ფურცლით.

აღნიშნული ქონების საერთო ღირებულებას შეადგენს 43.785 მან. 16 კაპ. ოქროთი.

გაყიდვა იწარმოება ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

(კრ. 437 1—1) სასამართლოს აღმასრ. მრ. ბარუტჩევი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის
საამშენებლო კომისია

აცხადებს, რომ დანიშნულია შეჯიბრება ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტის და პსიქიატრიული საავადმყოფოს შენობების სამუშაოს იჯარით გაცემაზე.

ხარჯთ-აღრიცხვის და პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში, (საპირის ქუჩა № 30) სანიტარულ-ტეხნიკურ ქვე-განყოფილებაში დღის 10 დან—1 საათამდე.

სამუშაოს ადგილობრივად დათვალიერება შეიძლება ყოველდღე 9-დან—2 საათამდე.

განცხადების შეტანის ვადათ პსიქიატრიულ საავადმყოფოსათვის ითვლება 10 ივნისი დღ. 12 საათი, ხოლო ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტისათვის 12 ივნისი.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით „შეჯიბრებისათვის“ „ივნისის“... გირაო შეტანილი უნდა იქნე ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სალაროში 500 მ. (ჩერვონცებ რაოდენობით; იმ პირებს, რომლებიც არ მიიღებენ სამუშაოს გირაო ბრუნდებათ.

საამშენებლო კომისია უფლებას იტოვებს გასცეს სამუშაო ფასების მიმწოდებელთა განცხადების გარეშე.

კრ. 752—2—1 სამკურნ. განყ. გამგე—ჯაფარიძე.

სრულიად რუსეთის საფეიქრო
სინდიკატი.
თბილისის განყოფილება, ხომის ბაზარი, № 6, ტელეფ. № 4—85.

აერთებს რუსეთის საფეიქრო, ბამბის მატყლის, აბრეშუმის, ტილოსა და ტრიკოს ქსოვილების ყველა ტრესტებს. საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილება ემსახურება საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანის ნაწილს. ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებისათვის რუსეთის ფართლეულობის ხელსაყრელ ფასებში მიწოდების მიზნისათვის, განყოფილება აწოდებს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს და კერძო ფირმებსა და პირებს ნაღდ ანგარიშზე და ნისიით: **ბამბის, ტილოს, მატყლის, აბრეშუმის და ტრიკოს ნაწარმოებებს და აგრეთვე ცხვირსახოცებს, ძაფებსა და სხვა და სხვა საქონელს.**

განყოფილებას აქვს აგრეთვე ბამბის ხმელი ქსოვილები.

განყოფილების დროებითი გამგე: გ. ზ. სუსლოვი.
434 2—1 გამგის მოადგილე: დ. პ. ნადირეიშვილი.

სასურსათო კომისარიატის
თევზეულობის
მაღაზია
პუშკინის ქუჩა, № 4.

იყიდება უმაღლესი ხარისხის ხიზილალა გირვანქა 600 ათასი მანეთი. თითო მყიდველს მიეცემა მხოლოდ ორი გირვანქა.

აგრეთვე იყიდება: ზურგიელი, დუში, ჯირიმი ორაგულისა და ლოქოსი.
3—2—438

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ
ექიმობას საჭიროებენ
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყარალაშვილის ქ. № 20. (501—25—15)

დაიკარგა მოწმობა მოცემული პირველ სახელმწიფო კონსერვატორიიდან სონია გიორგის თოხაძის ასულის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 625, სატელეფონო ქსელის თანამშრომელ ქალის ფოთო იაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
757 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ № 742 30 აპრილს, გრიგოლ დანიელის ძე კობრავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—

დაიკარგა საალრიცხვო ბარათი ივანე ნიკოლაიშვილის სახე ზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—

შრის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობის მასები, როგორც ერთი კაცი ადგება მათი მთავრობის პირველ—მოწოდებისთანავე და ღირსეულ პასუხს გასცემს ევროპის იმპერიალისტურ ჯალათებს დაიცავს რა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე სოციალისტურ სამშობლოს.

სიკვდილი ბურჟუაზიულ წყობილებას.

ძირს საერთაშორისო შავი რეაქცია.

ძირს კერზონის მთავრობა.

გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელი მასების ძმობას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს, მსოფლიო სოციალ. რევ. შტაბს.

გაუმარჯოს ძლიერ-მოსილ შეიარაღებულ წითელ არმიას.

ასეთია მრისხანე განაჩენი ჩვენი მშრომელი გლეხობისა ლორდების შავი რეაქციის და აგრეთვე მენშევიკების პროვოკატორების წინააღმდეგაც.

დ. ნახარიძე.

წერილები რედაქციის მიმართ

ჩვენ, ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგურის მუშები ყოფილი მენშევიკები დავრწმუნდით, რომ მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია არის დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა. დღეიდან ჩვენ ვტოვებთ მუშათა კლასის გამყიდველთა პარტიას და გადავდივართ საბჭოთა პლათფორმაზე!

გაუმარჯოს კომინტერნს!

1) მალაქია სოლომონის ძე გიორგობიანი პარტიის წევრი 1899 წ. 2) ალექსი ნიკოლოზის ძე სუხაშვილი პარ. წევ. 1917 წ., 3) იპოლიტე ხახულას ძე ჩიხრაძე პარტიის წევრი 1919 წ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

სამეცნიერო კრებულის, „ჩვენი მეცნიერება“-ს, გამომცემლობა ღრმად მადლობას უძღვნის შემდეგ პირთ: მარიამ ორახელაშვილისას, შალვა დადიანს, რაჟდენ კალაძეს, დავით კლდიაშვილს, შიუკაშვილს, ს. მგალობლიშვილს, პეტრე მირიანაშვილს, დუტუ მეგრელს, ალიოშა წერეთელს, სამსონ დადიანს, ვახტანგ კოტეტიშვილს, სერგო ამაღლობელს და ბოჭორიშვილს 31 მაისს სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართულ ლექცია და ლიტერატურულ გასამართლებაში მონაწილეობისათვის.

აგრეთვე მადლობას ვუძღვნით შალვა მესხიშვილს, რომელმაც საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა გასამართლებაში, მაგრამ გამოგვიგზავნა 20 მილიონი და ქ-ნ საყვარელიძისას, დუმბაძისას და სვანიძისას, რომელთაც დაგვეხმარენ სალამოს მოწყობაში, თავს იდვეს საპატიო ბილეთების გავრცელება და მით ხელი შეგვიწყვეს კრებულის მორიგი ნომრის გამოცემაში.

კრებულის გამომცემლობის რწმუნებული ქ. ნემსაძე.

მადლობა ყველა ჩვენ ლექტორებს.

როდესაც ჩვენ ვათავებთ ერთ წლიან პარტიული სკოლის კურსს, არ შეგვიძლია მადლობა არ ვუთხრათ იმ პირებს, რომლებმაც ჩვენზე დიდი ღვაწლი დაგვდეს, და რომელთა სახელიც ჩვენ არ დაგვავიწყდება.

ჩვენ, არაფლის მცოდნეებმა მეცნიერებაში შევითვისეთ დამაკმაყოფილებლათ მაინც ეს უკანასკნელი, რაც ნაყოფია ჩვენი რექტორისა და ლექტორების დაუღალავი შრომის.

დიდ მადლობას ვუძღვნით უნივერსიტეტის გამგეს ამხ. მიშა ოკუჯავას, რომელმაც ჩვენი საქმე ყოველმხრივ მოაგვარა, გამოარკვია ჩვენი მოთხოვნილებანი და შეძლება მოგვცა სწავლის.

დიდ მადლობას ვუძღვნით ამხ. ის. თალაკვაძეს, როგორც დაუღალავ ენერგიულ მომუშავეს. ამხ. ისიდორე გვასწავლიდა ეკონომიურ მეცნიერებას და სულ იმის ცდაში იყო, რათა გაუგებარი არაფერი დაგვრჩენოდა.

მადლობას ვუცხადებთ ამხ. აკაკი თათარიშვილს, რომელიც გვასწავლიდა „პარტიისა და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას“. ეს საგანი დამაკმაყოფილებლათ გვაქვს შეთვისებული.

აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია შურა დუდუჩავა, რომელიც გვიკითხავდა ლექციებს დიალექტიკასა და ეკლესიაზე, ერთად ერთი დაბრკოლება გვქონდებოდა ამ საგნებში, მაგრამ ისიც მალე გადავლახეთ, ლექტორის დახმარებით. დაბრკოლება გამოიხატებოდა სახელმძღვანელოს უქონლობაში ნაციონალურ ენაზე.

ამხ. დუდუჩავა წინასწარ მოსაცემ გაკვეთილს ძლიერ გვიმარტივებდა და გვიხსნიდა, რაც ძლიერ გვიადვილებდა სწავლას. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ენის მასწავლებელ ვუკოლ ბერიძეს და რუსული ენის მასწავლებელ ქალს გრიშენკოს. ეს საგნები, რომ ჩვენ გვესწავლა პარტიული სკოლის გახსნისთანავე ეხლა გაცნობილი ვიქნებოდით ქართულსა და რუსულ ლიტერატურას, მაგრამ ეს დავიწყეთ მარტში.

დასასრულ დიდი მადლობა ამხ. მალ. ტოროშელიძეს, მიქაძეს, კანდელაკს და სხვებს, რომლებმაც ამ ბოლო დროს ლექციები გვიკითხეს სხვა და სხვა საკითხზე.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენმა შრომამ ბევრი რამ შეგვძინა ჩვენ, თქვენმა შრომამ გამოიღო ნაყოფი, რომელიც მალე დაითესება მუშებში და გლეხებში. ჩვენ მთელი ენერგიით ვეცდებით გავამართლოთ თქვენი ღვაწლი ჩვენ ვეცდებით გავამრავლოთ თქვენ მიერ ჩანერგილი ნაყოფი. ჩვენ არ დავივიწყებთ თქვენს შრომას და ყოველი ჩვენი მოქმედების დროს გვექნება მხედველობაში თქვენი დარიგება მუშაობის შესახებ.

ქართული სექტორის სახელით
ქ. მგელაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 97.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სატარიფო ზოლების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიის სატარიფო ზოლებად დაყოფის შესახებ აქამდე არსებულ დებულებათა გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე სატარიფო ზოლები 1923 წლ. მარტის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 30.
ტფილისი—სასახლე.